პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი
№ 172 (13864) | სამშაბათი, 25 ივლისი, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.

• საიუბილეო შრომითს ვახტზე •

ნობათეგი სამშობლოს

ზესტაფონი. (საკ. კორ.). საიუბილეო წლის ვალდებულებებს წარმატებით ასრულებს ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივი, რომელიც ზაპოროჟიელ თანამოსაქმეებს ეჯიბრება.

ამ დღეებში აქ მოსკოვიდან მოვიდა დეპეშა, რომელშიც აღნიშნულია, რომ სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს კოლეგიისა და მეტალურგიული მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით ქარხნის კოლექტივს 1967 წლის პირველი ნახევრის შედეგების მიხედვით მიენიჭა მესამე ფულადი პრემია.

ამ სახიხარულო ცნობამ ზესტაფონელ მეტალურგებში ახალი შრომითი აღფრთოვანება გამოიწვია. მესამე საამქროს კოლექტივმა კარგახანია შეასრულა შვიდი თვის დავალება. გამართულად მუშაობენ სხვა საამქროთა კოლექტივებიც.

მცხეთა. (საკ. კორ.). ნაყოფიერად მუშაობს მცხეთის აგურის ქარხნის კოლექტივი, რომელმაც გადაჭარბებით გაანადღა ხუთწლედის პირველი წლის ექვსი თვის დავალება. ქარხანამ გეგმის გადამეტებით გამოუშვა 53 ათასი ცალი აგური. თავდადებული შრომით კოლექტივის პატივსაცემად მოიბოვეს მაღალი [illegible] ე. ლაგაზაშვილმა, გ. ხეთაშვილმა, ჩამწყობებმა ზ. ჯაფარიძემ, [illegible] მოხეევშვილმა, გამომწველებმა ს. ჯაფაურმა, ვ. ჭრელაშვილმა, ლ. ლაგაზაშვილმა და სხვებმა.

სამტრედია. (საკ. კორ.). ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის განყოფილების დეპოს კოლექტივი ერთსულოვნად იბრძვის საიუბილეო წელს ახალი გამარჯვების მოსაპოვებლად. მან წარმატებით შეასრულა ნახევარი წლის დავალება და გეგმის გადაჭარბებით შეაკეთა ათობით ვაგონი. მნიშვნელოვნად შემცირდა ვაგონის შეკეთების დრო, შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 1,8 პროცენტით. მეეგონეებმა შრომის დანახარჯის შემცირებით 6 თვეში დაზოგეს 5.700 მანეთი.

ამ წარმატებებში თავი ისახელეს მოწინავე ადამიანებმა ი. კიკაჩეიშვილმა, შ. ლოჩოშვილმა, ო. შენგელიამ და სხვებმა.

მინდვრად, ადამიანებთან!

ზაფხულის დღე წელიწადს კვებავს, — ამბობს ხალხი, და ამ თქმაში დიდი სიბრძნეა ჩაქსოვილი. შორს წაგვიყვანს იმ სამუშაოთა მარტო ჩამოთვლაც, რომლებსაც ახლა აწარმოებენ ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებრივ მეურნეობათა მშრომელები, წყდება ჩაის მწვანე ფოთლის დამზადების, თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის უდანაკარგოდ აღების, ყურძნის, ხილის, ციტრუსების, თამბაქოს უხვი მოსავლის ბედი, საპატიო ვახტზე დგანან შეცხოველეები.

და ყოველივე ამას სოფლის მშრომელები აკეთებენ დიდი ოქტომბრის სახელით, ისინი მთელ თავიანთ ენერგიას, ცოდნას, გამოცდილებას ახმარენ საიუბილეო წლის სოციალისტურ ვალდებულებათა პირნათლად შესრულებას.

ადვილი, როდია მიწათმოქმედის საქმიანობა. ზაფხულში, როცა სიცხე რამდენიმე ათეულ გრადუსს აღწევს, მუშაობა ველად, მზის მცხუნვარე სხივებს ქვეშ, ნამდვილი შრომითი გმირობაა. და რამდენად სახიამოვნოა კოლმეურნის ან საბჭოთა მეურნეობის მუშისათვის შუადღისას ერთი საათით შეეფაროს საველე ბანაკს, დაისვენოს, ისადილოს, გადათვალიეროს ახალი გაზეთები, მოისმინოს პოლიტინფორმატორის საუბარი.

საველე ბანაკს სოფლის მშრომელები თავიანთ მეორე სახლსაც უწოდებენ. ისინი წელიწადის მეტ დროს ველად ატარებენ, ხოლო დასვენების ან უამინდობის შემთხვევაში საველე ბანაკში იკრიბებიან. ამიტომ საველე ბანაკი ზაფხულის პერიოდში კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა შორის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ნამდვილ ცენტრს უნდა წარმოადგენდეს. აქ უნდა გადმოინაცვლოს საზოგადოებრივ მეურნეობათა პარტიული ორგანიზაციების პოლიტაღმზრდელობითმა და ორგანიზატორულმა მუშაობამ.

ბუნებრივია, რომ ჩვენი რესპუბლიკის ბევრი რაიონის პარტიული ორგანიზაციები, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები ახლა უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ საველე ბანაკების მშენებლობასა და აეთილმოწყობას, ზრუნავენ იმისათვის, რომ მინდვრად მომუშავე ადამიანთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები ყოველდღიურად უმჯობესდებოდეს. ამის ახსნა ადვილია: უკანასკნელ წლებში მეტი შესაძლებლობანი შეიქმნა მინდვრად მომუშავე ადამიანთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის. ბევრი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა ეკონომიურად განმტკიცდა და კარგი შემოსავალი აქვს.

კმაყოფილი არიან თავიანთი საველე ცხოვრებით მახარაძის რაიონის ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეები. მეურნეობის თითქმის ყველა ძირითად მასივში მოწყობილია საველე ბანაკი. მეჩაიეებს ადგილზე ეძლევათ ცხელი კერძები. მათვე უხვად აქვთ სულიერი საზრდოც. საბჭოთა მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი შ. შოშიტაშვილი პირადად ხელმძღვანელობს მშრომელთა პოლიტაღმზრდელობითს მუშაობას. 40-მდე პოლიტინფორმატორი ყოველდღიურად შესვენების დროს აცნობს მეჩაიეებს ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო მდგომარეობის აქტუალურ საკითხებს. კოლმეურნეები უშუალოდ პლანტაციებში ისმენენ ლექციებს, საღამოობით კი კლუბში ნახულობენ ახალ კინოსურათებს.

კარგად არის საქმე ამ მხრივ ამავე რაიონის ნატანების, გურიანთის და სხვა სოფლების კოლმეურნეობებში, ბევრ საბჭოთა მეურნეობაში, ლანჩხუთის რაიონის სოფელ აცანის კოლმეურნეობაში და სხვაგან.

ზაფხულის ამ ცხარე დღეებში სოფლის მშრომელებისათვის ზრუნვის კარგ მაგალითს იძლევიან თელავის რაიონის სოფელ კურდღელაურის კოლმეურნეობის გამგეობა და პარტორგანიზაცია. აქ ყველაფერი გაუკეთებიათ იმისათვის, რომ კოლმეურნემ კულტურულად დაისვენოს მუშაობის შემდეგ. საველე ბანაკში მოწყობილ აგიტპუნქტში 50-ზე მეტი პოლიტინფორმატორი მორიგეობს. 14 დასახელების ყურნალ-გაზეთი ხელიდან ხელში გადადის. საველე ბანაკში ხშირად ნახავთ თელავის კულტსახლის აგიტმხატვრულ ბრიგადებს, კულტ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაკებს. ჩაატარეს მოძრავი კინო. საინტერესოდ მოაწყო ველად მუშაობა აქაურმა საექიმო პუნქტმა. ყოველივე ეს ხელს უწყობს მინდვრის სამუშაოთა წარმატებას.

ორი კოლმეურნეობა — ორი მაგალითი. ასე შეიძლება შეაფასო ხობის რაიონის სოფელ საჯიჯაოს ლენინის სახელობისა და ამავე სოფლის ცხაკაიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელების მშრომელთა. კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების საქმეში არსებული მდგომარეობა. თუ ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში ჩაის მწვანე ფოთლის კრეფაზე მომუშავე კოლმეურნეები ისე გრძნობენ თავს, როგორც საკუთარ სახლში, ცხაკაიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელში მშრომელებს ფიზიკური და სულიერი დასვენების არასახარბიელო პირობები აქვთ. ეს განსაკუთრებით ითქმის ამ კოლმეურნეობის პირველ ბრიგადაზე. კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანს პ. ჭანტურიას ნორმალურ მოვლენად მიაჩნია, რომ აქ მოუწყობელია საველე ბანაკი, კოლმეურნეები უზრუნველყოფილი არ არიან ცხელი კერძებით, არ იკითხება მათთვის ლექციები, არ ეწყობა პოლიტინფორმატორთა საუბრები, არავინ არ ზრუნავს საველე გაზეთების გამოცემაზე.

რედაქციას მოსდის სიგნალები იმის შესახებ, რომ მშრომელთა კულტ-საყოფაცხოვრებო პირობებზე ნაკლებად ზრუნავენ ზოგიერთ სხვა საზოგადოებრივ მეურნეობებშიც.

ცხადია, შემდგომში აღარ შეიძლება ვურიგდებოდეთ ასეთ მდგომარეობას. სოფლად მშრომელთა კულტ-საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად და პოლიტაღმზრდელობითი მუშაობის გასაშლელად მეტად ხელსაყრელი პირობები შეიქმნა. პარტიული კომიტეტების, პირველადი პარტიული ორგანიზაციებიო ერთ-ერთი პირველი რიგის ამოცანაა უნარიანად გამოიყენონ ეს შესაძლებლობანი, განამტკიცონ აგიტკოლექტივები და დაბეჯითებით მიიზიდონ აქტიურ პოლიტიკურ მუშაობაში საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, წარმოების საუკეთესო მუშაკები, სოფლის აქტივი.

მუშაობა ადამიანებთან პარტიული მუშაკის უმაღლესი მოვალეობაა. იყოს მუდამ ხალხთან, აღაფრთოვანოს და გაიყოლიოს იგი ახალი შრომითი მოღწევების მოსაპოვებლად — ასეთია კომუნისტთა დევიზი. და ახლა, როცა სოფლის მშრომელები მინდვრად, პლანტაციებში აღიმებენ და ათენებენ, იქვე უნდა იყოს პარტიული მუშაკის, პროპაგანდისტის, პოლიტინფორმატორის სამუშაო ადგილიც.

მთელ ორგანიზატორულ და იდეურ-პოლიტიკურ მუშაობას სოფლად საფუძვლად უნდა დაედოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისათვის. მომდინარე წლის გაზაფხულსა და ზაფხულში ბევრმა პარტიულმა ორგანიზაციამ შეიძინა ადამიანებთან მუშაობის კარგი გამოცდილება. განვავითაროთ და გავავრცელოთ იგი, ავამაღლოთ სოფლის მშრომელთა აქტივობა — აი პარტიის სასოფლო რაიკომებისა და პირველადი პარტორგანიზაციების მნიშვნელოვანი ამოცანა.

სოფლის მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება ბევრად არის დამოკიდებული ვაჭრობის, კულტურის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროებისა და მოელი რიგი რესპუბლიკური ორგანიზაციების მოქნილ, ოპერატიულ მუშაობაზე.

წინ დიდი საქმეებია. ნაყოფიერი შრომის პირობები არის, და ახლა ყველაფერი დამოკიდებულია თვით ადამიანებზე, აგრეთვე იმაზე, თუ რამდენად შეძლებენ სოფლის კომუნისტები მხარი დაუჭირონ და განავითარონ მათი აქტივობა, წარმართონ იგი იმ ამოცანების შესრულებისაკენ, რომლებიც დგას საზოგადოებრივი მეურნეობების წინაშე.

□ □

„საქართველოს კომუნისტი“ № 7

გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეორიულ და პოლიტიკურ ჟურნალ „საქართველოს კომუნისტის“ მორიგი, მეშვიდე ნომერი.

ჟურნალი იხსნება სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებით — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წელი; ჟურნალში აგრეთვე დაბეჭდილია: მოწინავე — პარტიის მთავარი რეზერვი და ერთგული თანაშემწე; მ. გოგიჩაიშვილი — გავაუმჯობესოთ კადრებთან მუშაობა და მათი სწავლების ორგანიზაცია; ე. სალუქვაძე — ხალხთა მეგობრობის ნათელი ფურცლები; ე. ხუნდაძე — კომუნისტური შრომა თავისუფალი შრომის უმაღლესი ტიპია; ვ.სანიკიძე — ყურადღების ცენტრშია პარტიაში მიღებისა და ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობის საკითხები.

ზუგდიდელთა გამარჯვება

აგვისტოს ანგარიშში 1.500 ტონა ფოთოლი

საქართველოს კპ ზუგდიდის რაიკომის პირველმა მდივანმა ბ. კვარაცხელიამ, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. ანთიამ, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ა. გაბელიამ „კომუნისტის“ რედაქციას აცნობეს, რომ რაიონის მშრომელებმა, რომლებიც ჩაბმული არიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, სიტყვა საქმედ აქციეს. ვადაზე ადრე, 22 ივლისისათვის გადაჭარბებით შეასრულეს ფოთლის კრეფის მაის-ივნისისა და ივლისის გეგმა. მოიკრიფა და ფაბრიკებს გადასამუშავებლად ჩაბარდა 18.890 ტონა ჩაის ნედლეული ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 18.825 ტონისა.

ფოთლის კრეფის საქმეში განსაკუთრებით ისახელეს თავი ხეცერის, ნარაზენის, ინგირის, ონარიის ჩაის საბჭოთა მეურნეობებმა, სოფელ ჯიხასკარის, ნარაზენის, აბასუმნის, ხეცერის, რუხის, ვრიგოლიშის, ახალსოფლის, კორცხელის, ჩხორის, დარჩელის კოლმეურნეობებმა.

ზუგდიდელმა მშრომელებმა გადაწყვიტეს ივლისში აგვისტოს ანგარიშში მოკრიფონ და ფაბრიკებს გადასამუშავებლად ჩააბარონ 1.500 ტონა ფოთოლი.

ზესტაფონელთა საპატიო სხვრეები

24 ივლისს ამხანაგებმა ა. პ. კირილენკომ, ა. ნ. შელეპინმა, ვ. ვ. გრიშინმა, პ. ნ. დემიჩევმა, დ. თ. უსტინოვმა, ი. ვ. კაპიტონოვმა, თ. დ. კულაკოვმა, მ. ს. სოლომენცევმა დაათვალიერეს იუგოსლავიის მრეწველობის გამოფენა, მოსკოვის სოკოლნიკის პარკში.

ამავე დღეს პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებმა დაათვალიერეს სოკოლნიკის წიგნის საერთაშორისო გამოფენა.

სტუმრებს გამოფენა გააცნო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. ა. მიხაილოვმა. (საკდესი).

ვიზიტი კანადაში

1967 წლის 15 აგვისტოს მონრეალის გამოფენაზე სსრ კავშირის ეროვნული დღის დღესასწაულობაში მონაწილეობისათვის, აგრეთვე კანადის კონფედერაციის 100 წლისთავთან დაკავშირებით კანადას ეწვევა საბჭოთა კავშირის დელეგაცია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის დ. ს. პოლიანსკის მეთაურობით.

(საკდესი).

ფიზიკოსთა საერთაშორისო კონფერენცია

ლენინგრადი, 22 ივლისი. (საკდესის. კორ.). პროფესორი ნ. გ. ფედორენკო გახდა ელექტრონებისა და ატომების შეჯახების ფიზიკის პრობლემათა შემსწავლელი ფიზიკოსების საერთაშორისო გაერთიანების გენერალური კომიტეტის თავმჯდომარე. იგი ირჩიეს კონფერენციაზე, რომელიც დღეს დამთავრდა აქ და რომელშიც 22 ქვეყნის 600 მეცნიერი მონაწილეობდა.

თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულია ლ. მ. ბრანსკომი (ამერიკის შეერთებული შტატები). გაერთიანების გენერალურ კომიტეტში შევიდა 36 ფიზიკოსი.

მორიგი საერთაშორისო კონფერენცია 1969 წელს უნდა გაიმართოს ამერიკის შეერთებულ შტატებში.

საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის კომიტეტი და საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ თბილისის საქალაქო ორგანიზაცია აწყობენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ

„საოქტომბრო კითხვას“

მოხსენებას თემაზე „თბილისი — საბჭოთა საქართველოს დედაქალაქი“ წაიკითხავს საქართველოს კპ თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ო. ი. ლოლაშვილი.

მოხსენება შედგება 1967 წლის 26 ივლისს დღის 4 საათზე სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის საჯარო დარბაზში (რუსთაველის პროსპ. № 29) ქართულ ენაზე.

საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის კომიტეტი, საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ თბილისის საქალაქო ორგანიზაციის გაგზავნა.

შესრულებულია გეგმაც, ვალდებულებაც

ჩოხატაურის რაიონის მშრომელებმა — აცნობეს „კომუნისტის“ რედაქციას საქართველოს კპ ჩოხატაურის რაიკომის პირველმა მდივანმა რ. კვინერაძემ, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ბ. მამალაძემ,—22 ივლისისათვის სახელმწიფოსათვის აბრეშუმის პარკის მიყიდვის წლიური გეგმა და ვალდებულებაც გადაჭარბებით გაანადღეს. სახელმწიფოს მიეყიდა 1.451 ცენტნერი პარკი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.350 ცენტნერისა, ხოლო ვალდებულებით ნაკისრი 80 ცენტნერის ნაცვლად — 100 ცენტნერი.

სახელმწიფოსათვის აბრეშუმის პარკის მიყიდვა გრძელდება. ჩოხატაურელები ბმჯიტად მუშაობენ იმისათვის, რომ წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს მისცენ 40 ცენტნერი ხარისხოვანი აბრეშუმის პარკი.

ბოლნისური თამბაქო

ბოლნისი. („კომუნისტის“ სპეც. კორ.). რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში კარგად ხარობს თამბაქოს კულტურა. წელს რაიონში თამბაქოს 426 ჰექტარი უჭირავს. პირველი და მეორე დამუშავება ჯერ კიდევ ივნისში დაამთავრეს, და მოსავალს კარგი პირი უჩანს.

სანამუშოდ მოვლილია თამბაქოს პლანტაციები სოფელ ფახრალოს კოლმეურნეობა „გამარჯვებაში“. აქ 96 ჰექტარი თამბაქო აქვთ. დაწყებულია მოსავლის აღება. თამბაქოს მოვლა და მზრუნველობა არ მოაკლეს სოფელ არახლოს საბჭოთა მეურნეობაში. 94 ჰექტარზე გადაშლილი პლანტაციები „განებივრებულია“ და უხვ მოსავალსაც მოელიან.

პირველ აგროგანყოფილებას, რომლის უფროსია მ. მუსაევი, 40 ჰექტარი თამბაქო აქვს და გაჩაღებულია თამბაქოს მტეხა. მეურნეობაში უკვე შეტეხეს 200 ათას ზონარმეტრზე მეტი თამბაქო. არახლოელმა მეთამბაქოეებმა ამ საიუბილეო წელს ვალდებულება აიკრეს შეტეხოს 1 მილიონ 500 ათასი ზონარმეტრი თამბაქო.

ზესტაფონელ მეტალურგებს

თბილისელი კომუნისტები

თბილისის პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება

24 ივლისს საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლში გაიმართა ქალაქ თბილისის პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება.

კრება გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ო. ლოლაშვილმა.

მოხსენება, თუ როგორ სრულდება საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის V პლენუმის 1967 წლის 30 იანვრის დადგენილება „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისათვის მზადების შესახებ“ გააკეთა პარტიის თბილისის კომიტეტის მეორე მდივანმა ი. შეთარდნაძემ.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ოქტომბრის რაიკომის პირველმა მდივანმა მ. დანელიამ, თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის მუშამ გ. ხუბინმა, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ი. ურუშაძემ, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრის მოადგილემ ე. დულჩენკომ, საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის კალინინის რაიკომის პირველმა მდივანმა ს. რიგვავამ, თბილისის ლენინის სახელობის ელექტრომავლთაშენებელი ქარხნის დირექტორმა გ. სამხარაძემ, თბილისის სამგზავრო ტრანსპორტის საქალაქო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანმა ნ. ტუემალაძემ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა რ. დვალმა, ქალაქ თბილისის პროკურორის მოადგილემ ს. ნანიტაშვილმა, ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ კ. მეგრელიშვილმა, ქალაქ თბილისის საცალო სავაჭრო ორგანიზაციათა სამმართველოს უფროსმა ნ. ბიბილეიშვილმა, კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ვ. ალავიძემ.

საქალაქო პარტიული აქტივის კრებამ განიხილა საკითხზე მიიღო შესაბამისი რეზოლუცია. (საქდესი).

ბალენჯიხის

ბალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშამ, სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის უცხო ენების ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების პირველი კურსის სტუდენტმა კომკავშირელმა ზ. ანთიამ იკისრა საიუბილეო წელს მოკრიფოს 6.000 კილოგრამი ფოთოლი ნაცვლად 4.000 კილოგრამისა. ვალდებულების ანგარიშში უკვე მოკრიფა 3.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

• • •

სურათზე: ზ. ანთია პლანტაციაში.

ფოტო ბ. შანავასი

დამსახურებული ჯილდო

სასოფლო - სამეურნეო წარმოების განვითარებაში მოპოვებული წარმატებებისა თვის, სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების გეგმების შესრულებისათვის მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით.

მთავრობის მაღალი ჯილდოს გადასაცემად ნატანებში ჩავიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი პ. ა. რადიონოვი.

ამ სასახარულო მოვლენისადმი მიძღვნილი კოლმეურნეობის წევრთა საზეიმო კრება გახსნა კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანმა ა. პატარავამ.

ამს. პ. ა. რადიონოვმა წაიკითხა ტექსტი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებისა კოლმეურნეობის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ, მიულოცა კოლმეურნეებს მთავრობის მაღალი ჯილდო და უსურვა მათ ახალი წარმატებანი.

მოწინავე კოლმეურნეთა ჯგუფმა გამოიტანა კოლმეურნეობის დროშა.

კრების მონაწილეთა ტაშის გრიალში ამს. პ. ა. რადიონოვმა დროშას მიაბნია შრომის წითელი დროშის ორდენი.

შემდეგ კოლმეურნეობის წარჩინებულმა მეჩაიემ სოციალისტური შრომის გმირმა დ. ტაკიძემ, ბრიგადირმა ა. ტუღუშმა, ნატანების სკოლის მასწავლებელმა ე. სამსონიამ, კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გ. წითლიძემ და სხვებმა მხურვალე მადლობა გადაუხადეს კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას მაღალი ჯილდოსათვის. კოლმეურნეებმა იკისრეს ახალი გადიდებული ვალდებულებანი დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავად.

საბჭოთა მთავრობის ვანცხადება

ა. წ. 21 ივლისს მუშაობა შეწყვიტა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სპეციალურმა სესიამ, რომელიც მოწვეული იყო, რათა განეხილა არაბულ სახელმწიფოთა წინააღმდეგ ისრაელის აგრესიის შედეგების ლიკვიდაციის საკითხი. ასამბლეის გადაწყვეტილებით სესიის მთელი მასალები ეგზავნება უშიშროების საბჭოს, რათა ხელი შეუწყოს, რომ საბჭომ განიხილოს ახლო აღმოსავლეთში შექმნილი დაძაბული მდგომარეობა, როგორც უაღრესად დიდი მნიშვნელობის საკითხი. გენერალური ასამბლეის თავმჯდომარეს დაევალა კვლავ მოიწვიოს ასამბლეა, როგორც კი ამას საჭიროება მოითხოვს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სპეციალური სესია დიდმნიშვნელოვანი ეტაპი იყო მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა ბრძოლაში ისრაელის აგრესიის შედეგების უსწრაფესი ლიკვიდაციისათვის. მან მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის ყურადღების ცენტრში დააყენა ეს საკითხი. სესიის მთელმა მუშაობამ ცხადყო, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა მნიშვნელოვანი უმრავლესობა გულწრფელად დაინტერესებულია დაიცვას კანონიერი უფლებანი და ინტერესები არაბი ხალხებისა, რომლებმაც აგრესია განიცადეს, გმობს აგრესორს და მხარს უჭერს მოთხოვნას, რომ ისრაელმა გაიყვანოს ჯარები ოკუპირებული არაბული ტერიტორიებიდან.

გენერალურმა ასამბლეამ ორჯერ მიიღო ხმის დიდი უმრავლესობით რეზოლუციები, რომლებშიც მოითხოვს, რომ ისრაელმა ხელი აიღოს ქალაქ იერუსალიმის არაბული ნაწილის ანექსიის ღონისძიებებზე, და ამით აშკარად გაილაშქრა ისრაელის აგრესიის შედეგების რაიმე ცნობის წინააღმდეგ. ამრიგად, მან დაადასტურა პრინციპი, რომ შეუწყნარებელია ძალის გამოყენება ტერიტორიის შესაძენად, — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სამართლებრივი და პოლიტიკური პრინციპი, რომელსაც ეყრდნობა სახელმწიფოთა მშვიდობიანი უთანხმოება.

ისრაელისა და იმ სახელმწიფოების პოლიტიკურმა ინტრიგებმა, რომლებიც მხარს უჭერენ მას, მათმა ცდებმა მოიხსნან პასუხისმგებლობა აგრესიისათვის და არაბთა ოკუპირებული მიწების შენარჩუნების დასტურიც კი მიიღონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციისაგან, კიდევ უფრო ამხილეს მათი ნამდვილი დამპყრობლური ზრახვები. გენერალურ ასამბლეაზე ვერავინ ვერ გაბედა გამართლებინა აგრესორი, გარდა თვით ისრაელის და მისი ორი-სამი მთავარი მფარველისა ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით. ფრიად დამახასიათებელია, რომ ამერიკის შეერთებული შტატები იძულებულიც კი გახდნენ გენერალურ ასამბლეაზე კენჭისყრიდან მოეხსნათ რეზოლუციის თავიანთი პროექტი, რომლის მიზანი იყო აგრესორის გამართლება და მისი დაჯილდოება არაბულ ქვეყნებზე თავდასხმისათვის.

მიუხედავად ამისა, ფაქტად რჩება, რომ გენერალურმა ასამბლეამ ვერ შეძლო მიეღო გადაწყვეტილება მთავარ საკითხზე, რომ ისრაელმა გაიყვანოს ჯარები ოკუპირებული არაბული ტერიტორიებიდან იმ პოზიციებზე, რომლებიც მათ ეკავათ აგრესიის დაწყებამდე. 4 ივლისს, როცა კენჭი უყარეს მიუმხრობელი ქვეყნების რეზოლუციის პროექტს, რომელიც შეიცავდა აშკარა მოთხოვნას ისრაელის მთელი ჯარების არაბთა ტერიტორიებიდან დაუყოვნებლივ გაყვანის შესახებ, ამ რეზოლუციას ხმა მისცეს სოციალისტურმა, არაბულმა სახელმწიფოებმა და აფრიკა-აზიის ბევრმა სახელმწიფომ, აგრეთვე დასავლეთ ევროპის ზოგიერთმა სახელმწიფომ, რომლებიც საერთაშორისო ასპარეზზე დამოუკიდებელ საგარეოპოლიტიკურ კურსს ახორციელებენ. მნიშვნელოვანი მხარდაჭერა მიიღო გენერალურ ასამბლეაზე აგრეთვე საბჭოთა კავშირის რეზოლუციის პროექტმა, რომელიც ითვალისწინებს აგრესორის დაგმობას, მისი ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანას ოკუპირებული ტერიტორიებიდან და აგრესორის მიერ იმ ზარალის ანაზღაურებას, რომელიც არაბულ სახელმწიფოებს მიაყენა. მაგრამ ვერც მიუმხრობელ სახელმწიფოთა პროექტი, ვერც საბჭოთა პროექტი ვერ გავიდა, რამდენადაც მიიღო ნაკლები ხმები, ვიდრე საჭირო იყო მათი დამტკიცებისათვის.

შემდგომ კონსულტაციებს, რომლებიც გრძელდებოდა იმ მომენტამდე, როცა შეწყდა სესიის მუშაობა, არ მოჰყოლია რეზოლუციის პროექტის შემუშავება, რომელიც გაითვალისწინებდა ისრაელის ჯარების გაყვანის საკითხის ისეთ გადაჭრას, რომელსაც მხარს დაუჭერდა დელეგაციათა საჭირო უმრავლესობა. სწორედ ამიტომ ასამბლეის მუშაობა დამთავრდა იმით, რომ მან მიიღო მხოლოდ პროცედურული რეზოლუცია მასალების უშიშროების საბჭოსათვის გადაცემის შესახებ.

ისმება კითხვა: ვინ შეუშალა ხელი გენერალურ ასამბლეას შეესრულებინა თავისი მოვალეობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით გამოცხადებული მიზნების შესაბამისად, რომელიც სასტიკად კრძალავს აგრესიულ მოქმედებას? პასუხი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი: გენერალურმა ასამბლეამ ვერ შეძლო მიეღო გადაწყვეტილება ისრაელის აგრესიის შედეგების ლიკვიდაციის, დაპყრობილი ტერიტორიებიდან ისრაელის ჯარების გაყვანის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების, ზოგიერთი მათი მოკავშირის, აგრეთვე იმ სახელმწიფოთა პოზიციის გამო, რომლებიც დაემორჩილნენ ამერიკის შეერთებული შტატების ზემოქმედებას, მათს შანტაჟს, რომელიც უხეში მოუნიდებლობით გამოიყენეს გადაწყვეტ მომენტში.

საბჭოთა მთავრობა გადთიქვამს. ბტკიცე რწმენას, რომ ყველა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფომ უნდა განაგრძოს მეცადინეობა, რათა აიძულონ აგრესორი გაიყვანოს თავისი ჯარები მის მიერ დაკავებული არაბთა ტერიტორიებიდან. სანამ აგრესორის ჯარები იმყოფებიან არაბთა ტერიტორიებზე, სანამ ისრაელი უგუნური თავნებობით უყენებს ტერიტორიულ და სხვა პრეტენზიებს მეზობელ არაბულ ქვეყნებს, ახლო აღმოსავლეთში არ იქნება მშვიდობა. სამხედრო პროვოკაციები, რომლებსაც ისრაელი აწყობს სუეცის არხის ზონაში, მოწმობენ, რომ ყოველ დღეს მოსალოდნელია ომის განახლება.

დიდი და პასუხსაგები ამოცანა ეკისრება ახლა უშიშროების საბჭოს, რომელსაც გენერალურმა ასამბლეამ გადასცა თავისი საგანგებო სპეციალური სესიის მასალები. ისრაელის აგრესიის შედეგების ლიკვიდაციის საკითხის შემდგომი განხილვისას უშიშროების საბჭომ მთლიანად უნდა გაითვალისწინოს სესიაზე, მკაფიოდ გამოთქმული სურვილი სახელმწიფოთა უმრავლესობისა, რომ მიაღწიონ ამ საკითხის კონსტრუქციულ გადაჭრას, და, პირველ რიგში, — ისრაელის ჯარების გაყვანას მათ მიერ დაპყრობილ არაბთა მიწებიდან. თავის მხრივ, საბჭოთა მთავრობა, ისე როგორც წინათ, მზად არის ამ მ

ჩვენ ოქტომბერმა დაგვაძლიერა

ეკონომიური და სოციალური ერთიანობის საფუძველზე სოციალისტურ ერებში აქტიურად ვითარდება ინტერნაციონალური თვისებანი, მკვიდრდება კომუნიზმის მშენებელთა საერთო საბჭოთა ტრადიციები. მიზნებისა და მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ერთიანობა, კომუნიზმის საქმისადმი ერთგულება, ღრმა ინტერნაციონალიზმი და საბჭოთა პატრიოტიზმი, ეროვნული ღირსების პატივისცემა, მეგობრობა და ძმობა — ასეთია ერთიანი და ამასთან მრავალეროვანი სოციალისტური საზოგადოების მშრომელთა დამახასიათებელი ნიშნები.

სკკკ ცენტრალური კომიტეტის თეზისებიდან „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წელი".

ასე იწრთობოდა

ერთი ფურცელი ქართველ და აზერბაიჯანელ ხალხთა რევოლუციური მეგობრობის ისტორიიდან

1920 წლის 27-28 აპრილს ღამით ბაქოს აჯანყებულმა პროლეტარიატმა, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობითა და კავკასიის ფრონტის XI არმიის დახმარებით, დაამხო მუსავატისტების ბურჟუაზიულ-მემამულური ძალაუფლება და დამყარა საბჭოთა ხელისუფლება.

აზერბაიჯანიდან გაქცეულმა დენიკინელებმა და მუსავატისტების ბანდებმა თავი შეაფარეს ირანში ინგლისელი ინტერვენტების ქ. ენზელის (ფეხლევის) გარნიზონს. 18 მაისს, განთიადისას, ვოლგა-კასპის საბჭოთა ესკადრამ მტრის მოულოდნელად დესანტი გადასხა ენზელში. საბჭოთა ზარაზნების ქუხილმა თავზარი დასცა ინგლისელთა გარნიზონს. მისი მეთაური გენერალი შამპაინი იძულებული გახდა საბჭოთა სარდლობის ულტიმატუმი მიეღო. იგი დათანხმდა გაეყვანა გარნიზონი ენზელიდან და დაებრუნებინა დენიკინელებისაგან გატაცებული გემები, რადიოსადგურები, ზარაზნები და სხვა საბჭოთა ქონება. ესკადრა გამარჯვებული დაბრუნდა ბაქოს ნავთსადგურში. ამ ოპერაციაში სხვებთან ერთად ქართველი მებრძოლებიც მონაწილეობდნენ.

ინგლისელი ინტერვენტები და მათი ხელშემწყობი ირანელი რეაქციონერები არ ისვენებდნენ. ისინი ვერ ურიგდებოდნენ საბჭოთა ხელისუფლების არსებობას აზერბაიჯანში, რომელიც დიდ გამარვეოლუციონერებელ გავლენას ახდენდა ირანელ ხალხზე და არყევდა ინგლისის ბატონობას ირანში. ინგლისი ზემოქმედებას ახდენდა ირანის მთავრობაზე და ხელს უშლიდა საბჭოთა რუსეთთან მეგობრული ურთიერთობის დამყარებას.

1920 წლის ზაფხულის დასაწყისში ქ. რეშტისა და ენზელის რაიონში თავი მოუყარეს ირანის შაჰის, ფეოდალ-ხანებისა და ინგლისელი ინტერვენტების ჯარებს. შეიქმნა საბჭოთა აზერბაიჯანის წინააღმდეგ სამხედრო ინტერვენციის აშკარა საფრთხე. ინტერვენციის საშიშროების ზრდაზე მიუთითებდა აგრეთვე ის გარემოება, რომ შაჰი და ფეოდალ-ხანები შეტევაზე გადავიდნენ გილანის პროვინციასა (ენზელი, რეშტი) და მის მომიჯნავე რაიონებში დაწყებული რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის წინააღმდეგ. ეს იყო ეროვნული ბურჟუაზიისა და ხალხის ბლოკის მოძრაობა, რომელიც მიმართული იყო ახმედ-შაჰის ყაჯართა დინასტიისა და ფეოდალ-ხანების ძალაუფლების წინააღმდეგ. მოძრაობას სათავეში ედგა კუჩეკ-ხანი.

ინტერვენციის აღსაკვეთად და საბჭოთა აზერბაიჯანის დასაცავად კავკასიის ფრონტის სარდლობამ (გ. ორჯონიკიძე, ვ. გიტისი და ვ ტრიფონოვი) ვ. ი. ლენინთან შეთანხმებით ჩამოაყალიბა საექსპედიციო არმია („ირანის არმია"). იგი დაკომპლექტებული იქნა XI არმიიდან მოგლინებული, აზერბაიჯანში მობილიზებული და იმიერკასპიის ფრონტიდან გადმოყვანილი ძალებით. საექსპედიციო არმიის უმნიშვნელოვანეს კონტინგენტს შეადგენდნენ ქართველი რევოლუციონერები: ამ არმიის ჯერ ეპპური სარდლობდა, შემდეგ კი ხ. გიკალო; სამხედრო კომისრად დანიშნულ იქნა ი. ბრეგაძე, შემდეგ იგი არმიის განსაკუთრებულ განყოფილებას ხელმძღვანელობდა. შტაბის უფროსად პირველად ივაკოვი მუშაობდა, შემდეგ კი — შეველევი. არმიის სამეურნეო განყოფილებას განაგებდა ჯერ გიორგი ელიავიანელი, შემდეგ კი სიმონ გვარჯალაძე.

ირანის საექსპედიციო არმიის განსაკუთრებულ განყოფილებასთან შეიქმნა სპეციალური დანიშნულების რაზმი. მის უფროსად დანიშნულ იქნა პავლე ნადირაძე, ინსპექტორად — გიორგი ქონულაძე. სხვებთან ერთად რაზმში შედნენ ნიკოლოზ ბალიაური, შალვა დუდუჩავა, მიხეილ ზალანია, ბესარიონ კალანდაძე, იოსებ კაჭარავა, რაფდენ კახიანი, კონსტანტინე ჯეკელიძე, გიორგი კიბარაშვილი, გაბრიელ ლაპია, ევგენი შელაძე, გიორგი მიქელაძე, რაფდენ ჭიჭინაძე და ვლადიმერ ხოშტარია. არმიის განსაკუთრებული განყოფილების სპეციალური დანიშნულების ესკადრონის უფროსად დანიშნულ იქნა ტრიფონ კობერიძე, ზემდეგად — შაქრო მაღალაშვილი, ესკადრონების მეთაურებად — ვიქტორ ავალიანი და გიორგი კოპალაძე.

განსაკუთრებული განყოფილების მეტყვეიამფრქვევთა გუნდი დაკომპლექტეს ალექსანდრე ასათიანმა და ლავრენტი ჩოკაძემ. ქართველი მეტყვეიამფრქვევებიდან მასში შედიოდნენ პიმენ კორძაია, ანზორ ქანთარია, აკაკი ჩახუნაშვილი, ალექსანდრე ჩუბაკიძე.

არმიის ავტოკოლონას, რომელიც 58 კაცისაგან შედგებოდა, ჯერ ვასილ კიკნაძე განაგებდა, შემდეგ კი ქრისტეფორე ხუმარაძე. მათ განკარგულებაში იყო 15 ავტომობილი.

ირანის საექსპედიციო არმიის შტაბში სხვებთან ერთად მუშაობდნენ ვიქტორ ავალიანი, ივანე ბერეგაძე, ლევანტი გაბისონია, ლაზარე გომელაური, ალექსი ლორთქიფანიძე, ლავრენტი მიშელაძე და ალექსი ჭანტურია. სანიტრებად მუშაობდნენ დავით ბოკერია, გრიგოლ დოსაკაშვილი და იასონ თვალთვაძე.

ირანის საექსპედიციო არმიის ქვეითი ნაწილი შედგებოდა 244-ე პოლკის, აზერბაიჯანის მეორე პოლკისა და გუჯეხიდის ბრიგადისაგან. 244-ე პოლკის მეთაური იყო გოლოვკო, სამხედრო კომისარი მაკსიმოვი. ამ პოლკში შედიოდა ქართული ასეული ნიკოლოზ ნიჟარაძის მეთაურობით. პოლკის დანაყოფებს მეთაურობდნენ ვასილ კვინიხიძე, ალექსანდრე მილორავა, პანტელეიმონ ტუსკია, კონსტანტინე ჩხეიძე და სხვები. ქართული ასეულის შემადგენლობაში შედიოდნენ ნიკოლოზ გიაშვილი, ვარლამ გიორგობიანი, დიმენტი გოგოლიძე, ისაი დუდუჩავა, სერგო ლანდაძე, თედორე მაისურაძე, ბაგრატ ნაჭყვინია, გიორგი ოხრაშვილი, დავით რობიტაშვილი, გიორგი სიბაშვილი, ლავრენტი ნაჭყვინია, ზაქარია ფალავანდიშვილი. ლევან ფხალაძე, გრიგოლ ქაფიანიძე, ნიკოლოზ ქავთარაძე, ნიკოლოზ ქორიძე, იოსებ ჩერეკაშვილი, ვასილ ჩუმაშვილი, კონსტანტინე ჩუმაშვილი, ალექსანდრე წულუკიძე და სხვები.

აზერბაიჯანის მეორე პოლკის უფროსად დანიშნულ იქნა შალვა ბარამიძე, სამხედრო კომისრად — ტარასი მგალობლიშვილი, პოლკის სამეურნეო განყოფილებას განაგებდა თედორე კალანდარიშვილი, ერთ-ერთ ბატალიონს მეთაურობდა მიხეილ ჭარბაძე, დანაყოფს — ისაკი კოღუაშვილი. პოლკის შტაბში მუშაობდა ნიკოლოზ აბაიშვილი.

მუჯეხიდის ბრიგადას პირველად სეფე ლორთქიფანიძე მეთაურობდა, შემდეგ დაჯათ ხარაძე. ბრიგადის ინსტრუქტორად მუშაობდა ვლადიმერ მდივანი.

ირანის საექსპედიციო არმიის ცხენოსანი ნაწილის სამხედრო კომისრად დანიშნულ იქნა ესტატე დადიანიძე, ერთ-ერთი ესკადრონი უფროსად — სამსონ ახვლედიანი.

1920 წლის ივლისის დასაწყისში საბჭოთა საექსპედიციო არმიამ შეტევა დაიწყო. ენზელს ყუმბარები დაუშინეს. მტერი ვაიქცა. 9 ივლისს აღებულ იქნა ქ. რეშტი, შემდეგ კი მენჯილი. საბჭოთა ჯარები მიეახლოვდნენ ქ. ყაზვინს. ივლისის მეორე ნახევარში ირანის აზერბაიჯანში ძლიერი წვიმები დაიწყო, მდინარეები ადიდდა, გზები გაუვალი გახდა. არმია სურსათის დიდ ნაკლებობას განიცდიდა. გავრცელდა სენი. მოწინააღმდეგემ მოსახლეობაში ანტისაბჭოთა აგიტაცია გააძლიერა. ბურჟუაზიული ნაციონალისტები ჯანმა ხანი და ბურხანა სალთანე თავიანთი რაზმებით ინგლისელ ინტერვენტებს მიეშხნენ.

აგვისტოს დასაწყისში მოწინააღმდეგე შეტევაზე გადმოვიდა. საბჭოთა არმია იძულებული გახდა დაეტოვებინა მენჯილი და რეშტი. მან დიდი ზარალი განიცადა. გლაბერის კარიბჭესთან ბრძოლაში მოწინააღმდეგემ ტყვედ ჩაიგდო სამასამდე დაჭრილი საბჭოთა მებრძოლი. ისინი ჯერ ციხეში ჩაყარეს, შემდეგ კი მხეცურად ამოხოცეს. მხოლოდ ხუთმა მებრძოლმა — მისა ბერუაშვილმა, გიორგი ბექაურმა, ალექსანდრე დვალმა, ვახტანგ ფშაველმა და გიორგი მოწონელიძემ — შეძლო ტყვეობიდან გამოქცევა. დვალმა და ბერუაშვილმა დიდი ტახჯვით მიაღწიეს თავიანთ ნაწილს, სხვები კი შიმშილითა და ავადმყოფობით გზაში დაიღუპნენ.

1920 წლის 9 სექტემბრიდან, ძლიერი წვიმებისა და ქარიშხლის მიუხედავად, საბჭოთა ჯარი შეტევაზე გადავიდა. კასპიის ზღვიდან შეტევას მხარს უჭერდა გემი „საბჭოთა აზერბაიჯანი". აღებულ იქნა რამდენიმე სოფელი. უკან დახევისას ინგლისისა და შაჰის ჯარებმა მოსახლეობა გაძარცვეს, მამაკაცები ძალით გაირეკეს. 9 სექტემბრის ბრძოლაში, როგორც შტაბის მუშაკი ა. ჭანტურია იტყობინებოდა საბჭოთა ჯარმა დაკარგა 27 კაცი. 17 სექტემბერს მოწინააღმდეგე განდევნილ იქნა სოფელ კისმადან. საბჭოთა ჯარს ქერიმ-ხანის რაზმი შეუერთდა.

სექტემბრის მეორე ნახევარში ფრონტი გაყოფილ იქნა ორ საბრძოლო უბნად. ჩრდილო-დასავლეთის უბნის (კაჩალ-მაგალია) უფროსად დანიშნა გ. ჩხეიძე, სამხრეთ-აღმოსავლეთის უბნის (რეშტის მხარე, ნავთსაყუდელი მურდაბი) უფროსად კი — პავლოვი.

მცირე ხნის შესვენების შემდეგ, 4 ოქტომბრიდან შეტევა განახლდა. ტყეები და ჭაობები შეტევას აფერხებდა. 11 სექტემბერს გ. ჩხეიძემ არმიის სარდალს წაუყენა წინადადება — ზღვიდან დაებომბათ სოფელი კაპურჩალი, რათა ქვეითს ჯარს გაადვილებოდა სოფლიდან მოწინააღმდეგის განდევნა. წინადადება მიღებულ იქნა. ჩრდილოეთის უბანზე შაჰის ჯარებს მეთაურობდა კურატი-ხანი. მის წინააღმდეგ 50 კაცით დაზვერვაზე გაიგზავნა მ. ჭარბაძე. მაგრამ მზვერავი რაზმი მტრის გარემოცვაში მოხვდა. მოწინააღმდეგემ ტყვედ ჩაიგდო 18 კაცი. ჭარბაძე გმირული სიკვდილით დაეცა.

სამხრეთ-აღმოსავლეთის უბანზე მოწინააღმდეგემ 4 ათასზე მეტი კაცი გამოიყვანა და პირბაზარი დაიკავა. საბჭოთა ჯარები იქ მურდაბის მისადგომებს იცავდნენ. მდგომარეობა გაართულა იმან, რომ ყოფილი რევოლუციონერი ხაჯი ბამა რაზმით მტერს მიეშხრო და რეშტში გადავიდა, ხოლო კუჩეკ-ხანმა ბრძოლაზე უარი თქვა და რაზმით მთებში წავიდა. მიუხედავად ამისა, 21 სექტემბერს საბჭოთა ჯარებმა შეტევა დაიწყეს. 22 სექტემბერს მათ მეორედ აიღეს ქ. რეშტი და მის სამხრეთ-აღმოსავლეთით და ჩრდილოდასავლეთით განლაგდნენ. მოწინააღმდეგემ ლახუნჯანისაკენ დაიხია და მოსახლეობა გაძარცვა. ამ დროს საბჭოთა კავალერიამ სენგერის მიმართულებით გაილაშქრა. მას მოუხდა მძიმე გადასვლა ჭაობებსა და ხრამებზე. გმირული ბრძოლით სენგერი აღებულ იქნა. 22 ოქტომბერს საბჭოთა კავალერიამ დაიკავა კუჩიკ-ნესლადინი და ხასან-აბადი.

23 ოქტომბერს ჩრდილოეთის უბანზე მტრის გაძლიერებული დაზვერვა უკუაგდეს და ახალი პოზიციები დიკავეს, 24 ოქტომბერს საბჭოთა ჯარებმა შეტევა დაიწყეს იამამზადე მაშიმზე. იყო თოვლ-ტყაპი, ჯარისკაცებს ფეხსაცმელი შემოეფლითათ, მოძრაობა გაძნელდა. მიუხედავად ამისა ქვეითი ჯარი კუჩიკ-ისფაჰანში გავიდა, კავალერია კი — შამბაზარში.

ოქტომბრის ბოლოს და ნოემბრის პირველ დეკადაში ფრონტზე სიწყნარე ჩამოვარდა. მოხდა გადაჯგუფება ხელმძღვანელ თანამდებობებზე. მუჯეხიდის ბრიგადის უფროსი ს. ლორთქიფანიძე დანიშნულ იქნა ჩრდილო-დასავლეთის საბრძოლო უბნის უფროსად. მის ადგილზე კი დავით ხარაძე დანიშნეს. ჩრდილოეთის უბნის ყოფილი უფროსი. გ. ჩხეიძე გადაყვანილ იქნა ქ. რეშტის უფროს კომენდატად. ენზელ-ყაზვინის საეტაპო კომენდატად დანიშნეს ლ. გომელაური, პირ-ბაზარის კომენდატად კი — გ. ჯაფარიძე.

საბჭოთა არმიის ბრძოლამ ნაყოფი გამოიღო. 1920 წლის ოქტომბრის ბოლოს ირანში შეიქმნა ეროვნული მთავრობა. ნოემბერში მან მოლაპარაკება გამართა საბჭოთა რუსეთთან. 1921 წლის თებერვალში ირანთან დადებულ იქნა შეთანხმება. ირანმა ვალდებულება იკისრა არ ჩაერეოდა საბჭოთა ქვეყნის საშინაო საქმეებში; თავის ტერიტორიაზე არ დაუშვა რაიმე მტრული მოქმედება ჩვენს მიმართ და სხვ.

ქართველმა რევოლუციონერებმა, მოძმე ხალხების შვილებთან ერთად პირნათლად შეასრულეს თავიანთი ინტერნაციონალური მოვალეობა. საბჭოთა აზერბაიჯანის წინააღმდეგ ინტერვენცია აღკვეთილ იქნა. ქართველი მებრძოლების დიდმა ჯგუფმა „მრავალჯერ წარმატებით დაზვერვისა და ყველა საბრძოლო დავალების პირნათლად შესრულებისათვის" საექსპედიციო არმიის სარდლობის მადლობა დაიმსახურა.

1921 წელს თებერვალში ქართველი მებრძოლების დიდი ნაწილი ირანიდან გამოიწვიეს. ისინი XI არმიაში ჩაირიცხნენ და სამშობლოსაკენ გამოეშურნენ, რათა დახმარებოდნენ თავის ხალხს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლაში.

დოცენტი ს. ციცქიშვილი.

დაუვიწყარი სჯუმროობა

გორი—რამენსკოე

მოსკოვიდან ელმავალმა 45 კილომეტრი უცებ გამოირბინა, და როცა სიჩქარეს მოუკლო, ფანჯარასთან გაიელვა წარწერამ — რამენსკოე. გორის მშრომელთა დელეგაციის წევრები — საქართველოს კა გორის რაიკომის პირველი მდივანი რ. ბზიშვილი (დელეგაციის ხელმძღვანელი), სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი ა. ქუჩუკაშვილი, ადგილობრივ გაზეთ „გამარჯვების" რედაქტორი შ. მახარობლიძე, ნიკოზის კოლმეურნეობის თავმჯდომარე რ. ყანჩაველი, ფლავის კოლმეურნეობის თავმჯდომარე შ. ეცადაშვილი, ხურვალეთის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ი. აბაიძე ტოვებენ ვაგონს და თან ფანჯრებიდან ნაცნობ სახეებს ეძებენ.

გორელები უკვე კარგად იცნობენ ზოგიერთ რამენსკოელს. არც თუ ისე დიდი ხანია, რაც ისინი გორის რაიონიდან გაისტუმრეს. 16 ივლისს კი საპასუხო ვიზიტით ეწვივნენ რუს მეგობრებს. შეხვედრამ მოლოდინს გადააჭარბა. სადგურ რამენსკოეს ბაქანზე ქართველი მეგობრების შესახვედრად მოვიდნენ პარტიის რამენსკოეს საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. სტოლნიკოვი, აღმასკომის თავმჯდომარე ა. ბორდაჩოვი და სხვა პარტიული და საბჭოთა მუშაკები.

ძველი ნაცნობები მხურვალედ მიესალმნენ ერთმანეთს. მასპინძლებმა სტუმრებს ყვავილების თაიგულები გადასცეს. გორელებმა ახალი მეგობრებიც გაიცნეს, და მანქანების კოლონამ გეზი რამენსკოეს საბჭოთა მეურნეობისაკენ აიღო. უკან დარჩა რკინიგზის სადგური და მისი ახლო-მახლო ახალშენებლობები, ქვიტკირის მაღალი სახლები, მწვანეში ჩაფლული რაიონის ცენტრი — ქალაქი რამენსკოე.

მოსკოვის მოსახლეობას ძლიერ უყვარს რამენსკოეს რაიონის თვალწარმტაცი მიდამოები. აქ ბევრი დასასვენებელი ადგილია. ისინი ყოველ შაბათ-კვირას თითქმის აქ ატარებენ დროს და ზოგჯერ მთელი ზაფხულობითაც რჩებიან. დაცემული ადგილი მდიდარია ბუნებრივი ტბებით, ნაძვის, ფიჭვის და თეთრტანიანი არყის ხეებით.

ამ შესანიშნავ ადგილზე ცხოვრობენ გამრჯე ადამიანები, რომლებიც ქალაქ მოსკოვს ამარაგებენ ბოსტნეულით, კარტოფილით, ხორცით, რძითა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით. მარტო „ბორნიცის" საბჭოთა მეურნეობის ფაბრიკაში 100 ათასზე მეტი ფრთა ქათამია, აქ ყოველწლიურად 7 მილიონი კვერცხი მზადდება.

მანქანები რამენსკოეს საბჭოთა მეურნეობაში შეჩერდნენ. დელეგაციის წევრებს გულთბილად შეეგებნენ მეურნეობის მუშა-მოსამსახურეები. მასპინძლები ესაუბრნენ სტუმრებს, გააცნეს მოწინავე ადამიანები ს. დუშენკინა, პირველი ბრიგადის მერგოლური ა. ეროშინა და სხვები. შემდეგ ადგილზე დაათვალიერებინეს თავიანთი მიღწევები და ნახელავი. გორელების ყურადღება მიიპყრო თავთავიანი მარცვლეული კულტურებისა და ბოსტნეულის ნათესებმა. სტუმრები დიდად დაინტერესა „კუუზიკუს" ჯიშის კომბოსტომ, რომელიც ჰექტარზე 100 ცენტნერი მოჰყავთ. მის ძირსა და ფოთოლსაც მზესუმზირას ფოთოლთან ერთად ახილოსებენ და პირუტყვის საკვებად იყენებენ. აქვე ნახეს სარწყავი სისტემა, ხელოვნური დაწვიმების მეთოდები და საშუალებები, რითაც ასობით ჰექტარი ირწყვება მდინარე მოსკოვის წყლით.

დელეგაციის წევრებს მასპინძლებმა დაათვალიერებინეს აგრეთვე „გეელსკას" მეთევზეობის საბჭოთა მეურნეობა, რომლის დირექტორი ვ. ვორონტნიკოვი დაწვრილებით ესაუბრა სტუმრებს მეურნეობის მიღწევებზე. მეურნეობაში 138,5 ჰექტარი თევზსაშენს უჭირავს. აქაური მეთევზეები ყოველწლიურად 200-250 ტონა თევზს იჭერენ. გეგმა კი 170 ტონას ითვალისწინებს.

მეორე დღეს გორის რაიონის მშრომელთა დელეგაციის წევრები მიიღო პარტიის მოსკოვის საოლქო კომიტეტის მდივანმა ვ. კონტომაკმა. იგი სტუმრებს ესაუბრა მოსკოვის ოლქის მიღწევებზე, მომავალ პერსპექტივებზე და დასძინა: — ოლქში 250 საბჭოთა მეურნეობა და 70 კოლმეურნეობაა. მათი მშრომელები, ისევე როგორც თქვენი რაიონის მშრომელები, მთელი ენერგიით შრომობენ, რათა სასახელო მაჩვენებლებით შეხვდნენ საიუბილეო წელს. ბევრ მათგანს ალბათ საკუთარი თვალით ნახავთ და დარწმუნდებით მათს მიღწევებში.

იმავე დღეს დელეგაციის წევრები ეწვივნენ კოლმეურნეობა „ბორეცს". ამ კოლმეურნეობის ნახვა ფლავის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს შ. ეცადაშვილს უფრო ეჩქარებოდა. ბორეცელები ფლაველებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოწვიეს. და აი, პირისპირ შეხვდა თავის კოლეგას — კოლმეურნეობის თავმჯდომარეს სოციალისტური შრომის გმირს ი. ანტონოვს.

— თქვენ ნამდვილ „ბორეცს" დაეჯიდეთ, — ღიმილით ეუბნება ეცადაშვილს სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი ბ. ...ინი, — ...ა ...ა, რომელი გაიმარჯვებს. მგონი, ორივე გამარჯვებული გამოხვალთ, მე ხომ თქვენი კოლმეურნეობაც ვნახე. კარგია, შეავჯიბროთ, ვისწავლოთ ერთმანეთისაგან.

დაიწყო კოლმეურნეობის დათვალიერება. არცთუ ისე ადვილია „ბორეცის" არემარის მთლიანად ნახვა, რადგან მას 4.200 ჰექტარი ფართობი უჭირავს. კოლმეურნეობის წლიური შემოსავალი 3 მილიონ მანეთს აღემატება.

წინათ „ბორეცი" მეტად ჩამორჩენილი ყოფილა, მაგრამ უნარიანმა და პრინციპულმა ხელმძღვანელმა ი. ანტონოვმა იგი მოწინავეთა რიგებში ჩააყენა. ახლა რაიონში კი არა, რუსეთის ფედერაციაშიც სახელი აქვს განთქმული. ბევრი მოწინავე ადამიანი ჰყავს კოლმეურნეობას. შარშან მწველავმა მ. სამარინამ 25 ძროხას მოუარა და ერთ ძროხაზე 4.500 კილოგრამი რძე მიიღო. ახლა მ. სამარინა სარეკორდო მაჩვენებლებისათვის იბრძვის. 4.700 ლიტრი თვითეულ ძროხაზე! ეი მისი დევიზი. სამარინას ღირსეული მეტოქეა მწველავი კ. სტრუსკოვა. თუ რამენსკოეს რაიონი განთქმულია თავისი მწველავებით, უმრავლესობა კოლმეურნეობა „ბორეცზე" მოდის. მარტო მწველავები კი არა, სოფლის მეურნეობის სხვა დარგის მოწინავეც ბევრი ჰყავს.

მესამე დღეს დელეგაციის წევრებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს კოლმეურნეობა „ლენინეცი", სტეპანოვკის და საფონოვის საბჭოთა მეურნეობები. აქ გაეცნენ რუსი მეგობრების გამოცდილებას, მიღწევებს მეგოსტნეობასა და მეცხოველეობაში. მისაბაძიც ძალიან ბევრი ნახეს. განსაკუთრებით მეცხოველეობაში. რამენსკოელებს ამ დარგში დიდი გამოცდილება აქვთ. ფერმები მთლიანად მექანიზებულია. რამენსკოელებმა ქართველ მეგობრებს აღუთქვეს, რომ აუცილებლად დაეხმარებიან მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ჯიშობრივ გაუმჯობესებაში...

გამომშვიდობებისას გორელები შეხვდნენ პარტიის რამენსკოეს საქალაქო კომიტეტისა და აღმასკომის აპარატის მუშაკებს. ერთმანეთს გაუზიარეს პარტიული და საბჭოთა მუშაობის გამოცდილება. შემდეგ რამენსკოელებმა სამახსოვრო ხაჩუქარი გადასცეს გორელებს. ამ ხაჩუქრებში იყო მეგობრობის ვიმპელი, რომელზეც აწერია: „ქართველ მეგობრებს მოსკოვის ოლქის რამენსკოეს რაიონის მშრომელებისაგან — ივლისი, 1967 წელი".

დელეგაციის წევრები დაემშვიდობნენ რამენსკოელებს და მანქანებით მოსკოვში დაბრუნდნენ. აქ მათ დაათვალიერეს დედაქალაქის ღირსშესანიშნაობანი. შემდეგ ვნეკოვოს ეროდრომზე რამენსკოელებმა მეგობრები საქართველოში გამოაცილეს.

რ. ბასილაშვილი.

„კომუნისტის" საკ. კორ.

მეგობრები ერთმანეთისაგან სწავლობენ

საქმიანი კონფერენცია

ამას წინათ ლიტვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დედაქალაქ ვილნიუსში უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს ინიციატივით გაიმართა სამშენებლო ტექნიკუმების საკავშირო კონფერენცია. კონფერენციაზე რკინა-ბეტონის ასაწყობი მსხვილპანელიანი კონსტრუქციების დამზადების, გამოყენებისა და ეკონომიური ეფექტიურობის შესახებ მოხსენება გააკეთა ვილნიუსის სახლთმშენებლობის კომბინატის დირექტორის მოადგილემ, ინჟინერმა ჩ. ამბაზარამ.

მოხსენება მკაფიოდ ასახავდა ლიტვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, კერძოთ, ქალაქ ვილნიუსის ინჟინერ-მშენებლების მიღწევებს რკინაბეტონის კონსტრუქციების წარმოებისა და გამოყენების საქმეში. ვილნიუსის სახლმშენებლობის კომბინატები ყოველწლიურად ამზადებენ 400 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობის ასაშენებლად საჭირო კონსტრუქციებს. თუ რაოდენ მაღალხარისხოვანია ეს კონსტრუქციები, ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი დროშა გადაეცათ ლიტველებს, რომლებიც კავშირში მეორე ადგილზე არიან.

აღსანიშნავია ისიც რომ ქალაქ ვილნიუსს ამჟამად აქვს ერთ სულ მოსახლეზე 7,7 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, რომელიც ახლო მომავალში 12 კვადრატულ მეტრამდე გაიზრდება.

კონფერენციაზე განხილული იყო აგრეთვე ადგილობრივი საშენი მასალების მოპოვებისა და დამზადების, რკინაბეტონის კონსტრუქციებს ახალი მეთოდებით გაანგარიშებისა და მშენებლობაში მინაბეტონის კონსტრუქციების გამოყენების საკითხები.

კონფერენციამ ყურადღება გაამახვილა ახალგაზრდა სპეციალისტების აღზრდისა და მომზადების საკითხზე.

დასასრულ კონფერენციის მონაწილეებმა დაათვალიერეს ვილნიუსისა და მისი მიდამოების ახალშენებლობანი, ისტორიული ძეგლები, ღირსშესანიშნაობანი და სურვილი გამოთქვეს ანალოგიური კონფერენციები გაიმართოს საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებშიც.

პ. ბურძგლა.

თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმის დირექტორის მოადგილე, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი.

თაოსნობას—მხარდაჭერა

რუსთავი. (საკ. კორ.). ამას წინათ სკკკ ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა კიროვის სახელობის მაკეევკის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს № 1 ღუმელის მეფოლადეების ს. ხოლიაკოვის, ვ. ნიკიტენკოს, ნ. კოვალენკოს და ი. პრიმინინის თაოსნობა ჩქაროსნული ფოლადდნობის საქმეში.

ამ თაოსნობას რომ გაეცნო, ქართველმა მეფოლადემ, სოციალისტური შრომის გმირმა ა. ფანცულაიამ განაცხადა:

— სამი წელია, რაც მაკეევკელი მეფოლადეები მსოფლიო პირველობას ინარჩუნებენ აგრეგატის საწარმოო სიმძლავრის გამოყენების საქმეში. 200 ტონიდან მათ 549 ტონამდე აიყვანეს ერთი ნადნობი. ეს არა მარტო საკავშირო, არამედ მსოფლიო რეკორდია.

ა. ფანცულაიამ, აგრეთვე მარტენის № 1 ღუმელის მეფოლადეებმა ვ. ბერეკაშვილმა, ი. ტაბატაძემ და ზ. ყაკაშვილმა ერთობლივად მოიღაპარაკეს და გადაწყვიტეს საიუბილეო წელს ათასობით ტონამდე აიყვანონ ფოლადის წარმოება, შარშანდელთან შედარებით ათამაღლონ შრომის ნაყოფიერება 4,5 პროცენტით, შეამცირონ ერთი ტონა ფოლადის პირობითი სათბობი 0,5 კილოგრამით. პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გზით სამშობლოს მისცენ 25 ათასი მანეთი ეკონომია.

შეჯიბრების ძალა

ჰავანა. (საკ. კორ.). ჩვენს რესპუბლიკაში საიუბილეო სოციალისტური შეჯიბრების თაოსნები — ჭაბოთრელი მაღარელების წარმატებით იბრძვიან ვალდებულებათა შესრულებისა და მომზე ნიკობოლელ თანამოსაქმეებთან შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის.

დიდია მეგობრობისა და შეჯიბრების ძალა. კომუნისტური შრომისათვის მოძრაობას ახალი გაქანება ეძლევა. ახლა მარგანეცის მრეწველობაში კომუნისტური შრომის 2.385 დამკვრელია. 122 ბრიგადასა და ცალკე მონიშებული აქვს კომუნისტური შრომის კოლექტივის სპეციალური წოდება, ხოლო 5.132 მუშა იბრძვის კომუნისტური შრომის დამკვრელის სახელის მოპოვებისათვის.

დამახასიათებელია ასეთი მონაცემებიც: ჰავანურის მარგანეცის ტრესტის საწარმოები შეკანასკნელ ორ წელიწადს 36-ჯერ გამოვიდნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში გაბარჯვებულნი და 388.500 მანეთი პრემია მიიღეს.

ორჯონიკიძისა და კალინინის სახელობის მაღაროთა კოლექტივები ახლაც ფლობენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალ წითელ დროშებს.

ეს ჭეშმარიტად შეჯიბრების ძალაა.

წარმატებით შრომობს ამ დღეებში რუსთავის ლითონკონსტრუქციების ქარხნის ლითონის მომზადებისა და დამუშავების საამქროს კოლექტივი. საამქრო სისტემატურად ასრულებს ყოველდღიურ დავალებებს. ქარხანაში მხარდამხარ შრომობენ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები, რათა ღირსეული წვლილი შეიტანონ საბჭოთა ხელისუფლების 50-ე წლისთავის ღირსეულად შეხვედრის საქმეში.

• • •

სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ) ამწყობი ზეინკლები — ნ. სერბინი, გ. სავიდი, ზეინკლები — გ. ხარაძე, ი. ალიხანიდი, ,ზ. არზუმანოვი, ხიდური ამწის მემანქანე ნ. ტეპლიაკოვი, ამწყობთა ბრიგადირები — ვ. პუტილინი და პ. სამხარაძე.

ფოტო ა. ჭელიძისა.

ა. კაცნელსონი

უკრაინელი კოტეტი.

ჩერნიგოვური ჰიპანინი

მე სასურავი ავხადე და მითხრა კლავიშმა:
— შენ მეგობრობის ქებით ხვდები ყოველ გარიჟრაჟს,
მე კი არ მაქებ, მეც მკვიდრი ვარ შენი ქალაქის,
შენი ერთგული მსახური ვარ და ამხანაგი.

შენმა ჭაბუკმა მეზობელმა ჩამიდგა სული,
თვითონ უკრავდა ჭაბუკი და თვითონ მღეროდა...
სიმებმა მკითხეს: რად არ უსმენ ჩვენ ნება-სურვილს?
ხომ ხედავ სპილენძს — აგზავნიან საქართველოდან...

თქვა თავფიცარმა: მეც შორიდან მოვეგზავრები,
ჩემი დედაა კარელიის მაღალი ნაძვი,
მე ტყისმჭრელებმა ამიხილეს ქვეყნად თვალები
და ნუთუ ახლა ვერ დავარღვევ შენს დუმილს
ხანგრძლივს?..

ისევ კლავიში ასმაურდა დაუფარავად:
— ძმობას რომ აქებ, რად არ გვამჩნევ, ნეტავ ვიცოდე,
შენ სხვებს დაეძებ, ჩვენ კი აქ ვართ...
ჩვენ შენთანა ვართ...
ოღონდ შეგვეხე... ოღონდ ხელი გამოგვიწოდე...

თარგმანი ვ. ჯაბახაძისა.

ინტერნაციონალური სოლიდარობის საღამო

ჟუთაისი. (საკ. კორ.). საწარმოში მომუშავე ოცზე მეტი ეროვნების წარმომადგენლები შეეკრიბნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნ

ოქტომბერი და ჩვენი ვლანეტა

ლაპარაკოზენ ვეტერანები

ადრე იღვიძებს მშრომელთა ჰამბურგი. დილის საათებში მეტადრე ძლიერ გაისმის გემების საყვირთა ხმა. ნავსადგურისა და ზღვის მშრომელნი სამუშაოზე მიდიან. მზით და ქარით გარუჯული სახეები და დიდი დაკოჟრებული ხელები აქვთ. მაგრად, ოდნავ ტორტმანით მიაბიჯებენ. მიდიან ახალგაზრდები და ხანშიშესულნი. მათ შორის ისეთნებიც არიან, რომლებსაც ნავსადგურში არა ერთთაოეული წელი უმუშავნიათ. ერთმანეთს მიესალმებიან, ოხუნჯობენ, იღიმებიან. მტკიცე მუშური ძმობა აერთიანებს ამ ადამიანებს. ამ მეგობრობას ფესვები გადგმული აქვს იმ შორეულ წლებში, როცა რევოლუციის ქარიშხალმა პირველად გადაუარა ჰამბურგს, მთელ გერმანიას.

დიდი ოქტომბრის მხურვალე სუნთქვა დიდებით მოსავდა გერმანიაში რევოლუციურ მოვლენათა წლებს. ეს მოვლენები ითქოს კვლავ გაცოცხლდნენ იმ საღამოს, როცა ჰამბურგის „ოველკვირეული ორგანოს „ბლინკფიურის“ რედაქციის ინიციატივით ერთმანეთს შეხვდნენ გერმანიის მუშათა მოძრაობის ძველი გვარდიის წარმომადგენლები. ეს ადამიანები გერმანიის 1918 წლის ნოემბრის რევოლუციის თანამედროვენი და აქტიური მონაწილენი იყვნენ. ისინი ერნსტ ტელმანის ხელმძღვანელობით მუშაობდნენ. აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ახალგაზრდა საბჭოთა რუსეთთან სოლიდარობის მოძრაობაში. ზოგიერთი მათგანი წითელი არმიის რიგებში იბრძოდა.

1917 წელს არტურ ჰოპე კაიზერის საზღვაო-საზღვაო ფლოტში მსახურობდა. რუსეთის რევოლუციურმა ამბებმა მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა მეზღვაურთა გულში. 1917 წლის ზაფხულის განმავლობაში ხომალდებზე ეწყობოდა კრებები და მიტინგები, რომლებზეც აყენებდნენ მოთხოვნებს — ბოლო მოღებოდა წყეულ ომს. რეაქცია ცდილობდა ჩაახშო რევოლუციური მოძრაობა და ეიძულებინა ფლოტი გალაშქრნა ინგლისელების წინააღმდეგ. სამხედრო მეზღვაურებმა უარი თქვეს დამორჩილებოდნენ ამ ბრძანებას. მათ თავს დაატყდათ რეპრესიები. ნაწილი მეზღვაურები დახვრიტეს, ბევრნი საპყრობილეში დაამწყვდიეს.

მაგრამ ფლოტში რევოლუციური სულისკვეთება ვერ აღმოფხვრეს, ამბობს ჰოპე.

მეზღვაურები უდიდესი ენთუზიაზმით შეხვდნენ ცნობას რუსეთში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შესახებ. ახალი ძალით გაჩაღდა მოძრაობა ომიდან გამოსვლისათვის. 1918 წლის 3 ნოემბერს იფეთქა სამხედრო მეზღვაურთა აჯანყებამ კილში. ყველა ხომალდზე აფრიალდა წითელი ალმები და შეიქმნა მატროსთა საბჭოები. 6 ნოემბერს რევოლუციურმა მეზღვაურებმა ხელში აიღეს ძალაუფლება ბრემერჰაფენში. რამდენიმე დღის შემდეგ მატროსთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები შეიქმნა ვილჰელმსჰაფენშიც. ჰოპე იხსენებს ამ ქალაქში გამართულ გრანდიოზულ დემონსტრაციას. რევოლუციის დროშებით მოდიოდნენ მატროსები, ჯარისკაცები, მუშები. აჯანყებულ მეზღვაურთა წარმომადგენლები გერმანიის სხვა ქალაქებში გაემართნენ. მათ მშრომელებისათვის მიჰქონდათ სიმართლის სიტყვა, რევოლუციის სიტყვა.

ჰამბურგის მუშები, როგორც ხაზგასმით აღნიშნავს ჰოპე, ყოველთვის სოლიდარული იყვნენ საბჭოთა რუსეთთან, დიდი თანაგრძნობით ადევნებდნენ თვალყურს ამ ქვეყანაში წარმოებულ უდიდეს მშენებლობას. მაშინაც კი, როცა ნავსადგურის მუშები გაფიცვებს აწყობდნენ თავიანთი ინტერესების დასაცავად, საბჭოთა რუსეთიდან ჩამოსულ გემებს ყოველთვის შეუფერხებლად ცლიდნენ.

საუბარში ებმება ვალტერ ვენდტი. 1921 წელს იგი ჰამბურგის მუშა ახალგაზრდობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო. მას კარგად ახსოვს, ნავსადგურში რომ მოვიდა საბჭოთა გემი „ტრანსვაალი“. გოგონებმა და ბიჭებმა, ჰამბურგის მუშების შვილებმა, მოაწყეს სახსრების შეგროვება საბჭოთა რუსეთის ბავშვების დასახმარებლად. აგროვებდნენ სასკოლო და საწერ ნივთებს. დიდხანს ფიქრობდნენ, როგორ მიეტანათ ის, რაც შეაგროვეს, საბჭოთა გემზე, — ხელისუფალნი ხომ კრძალავდნენ საბჭოთა მეზღვაურებთან ურთიერთობას. მაშინ ყველაფერი ჩაიტანეს ხალათებში, შარვლებში და ფარულად მიიტანეს გემზე. საბჭოთა მეგობრები ვალში როდი დარჩენილან. ჰამბურგელ ბავშვებს მათ აჩუქეს თავიანთი ბიბლიოთეკა. საბჭოთა გემი წავიდა, მაგრამ დარჩა სიმღერა, რომელსაც ხშირად მღეროდნენ მისი მატროსები — ეს სიმღერა შეისწავლეს ჰამბურგელმა პიონერებმა და ხშირად ასრულებდნენ მას თავიანთ შეკრებებზე.

რა მღელვარებით ჰყვება იმ წლების ამბებს ალმა ზოლტაუ, მონაწილე გერმანელ მუშა ქალთა პირველი დელეგაციისა, რომელიც საბჭოთა ქვეყანაში იყო.

1926 წლის აგვისტოში ალმა ზოლტაუ სსრ კავშირში გაგზავნეს ჰამბურგის მელითონე მუშებმა. დელეგაცია იყო ლენინგრადში, მოსკოვში, ხარკოვში, სევასტოპოლში, იალტაში, თბილისში. და მას ყველგან უმართავდნენ შეხვედრებს. ალმა ზოლტაუს განსაკუთრებით დაამახსოვრდა შეხვედრა ლენინგრადის „ტრეუგოლნიკის“ მუშა ქალებთან, რომლებმაც თავიანთ გერმანელ მეგობრებს წითელი თავშლები აჩუქეს პროლეტარული სოლიდარობის ნიშნად.

აი დელეგაცია მოსკოვშია, საბჭოთა სახელმწიფოს დედაქალაქში. შვიდი საათი დაპყო ალმა ზოლტაუმ, გერმანელმა კომუნისტმა, ლენინის მავზოლეუმთან. ბევრ რამეზე ფიქრობდა ამ საათებში. მის გვერდით კი მიდიოდნენ და მიდიოდნენ ადამიანები, რომ პატივი ეცათ მსოფლიო პროლეტარიატის ბელადისათვის!

თვრამეტი წლისა ვიყავი, როცა შევიტყე სიმართლე რუსეთის პროლეტარული რევოლუციის შესახებ, ამბობს ვილი როლფი. მას შემდეგ სულ უფრო მტკიცდებოდა ჩემი რწმენა საბჭოთა ხალხისადმი. იმ წლებშიც, როცა საკონცენტრაციო ბანაკში ვიყავი გამომწყვდეული, ერთი წუთითაც არ დავეჭვებულვარ, რომ საბჭოთა ხალხი დაამარცხებდა ფაშიზმს. და მე მართალი გამოვდეკი.

შემდეგ კი შეხვედრის მონაწილეებმა ჰამბურგში იმღერეს გერმანელ მუშათა სიმღერები.

დიახ, იმ საღამოს გაცოცხლდა ბევრი რამ, რაც კი უნახავთ და განუცდიათ ამ ადამიანებს, რომლებიც გერმანიის მუშათა მოძრაობის სახელოვანი ისტორიის ნაწილი გახდნენ.

ვ. ვინოგრადოვი,
საკდესის კორესპონდენტი.
ჰამბურგი-ბონი.

ოქროს მედალი საბჭოთა მსახიობებს

ტუნისი, 24 ივლისი. (საკდესი). აქ დამთავრდა ხალხური სიმღერისა და ცეკვის IV საერთაშორისო ფესტივალი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 13 ქვეყანამ. ოქროს მედალი და პირველი პრემია — დამოუკიდებლად მომზადებული პროგრამა — დაიმსახურეს საბჭოთა მსახიობებმა — ციმბირის ხალხური ცეკვის ანსამბლმა (კრასნოიარსკი). გარდა ამისა, საბჭოთა ანსამბლს მიენიჭა ბრინჯაოს მედალი ვაჟთა ცეკვის საუკეთესო შესრულებისათვის.

შაპ ვან დონგის ინტერვიუ

ვარშავა, 24 ივლისი. (საკდესი). ამ ომის დაწყებიდანვე ვიცოდით, რომ ძმა ომი ხანგრძლივი იქნებოდა. ვიცოდით, რომ ბრძოლის დროს დიდი მოთმინება დაგვჭირდებოდა, განაცხადა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ფამ ვან დონგმა გაზეთ „ტრიბუნა ლუდუს“ კორესპონდენტთან საუბარში. ამ ომში ამერიკელები უფრო დამარცხდებიან.

როგორც პოლონეთის პრესის საგენტო იუწყება, პრემიერ-მინისტრმა შემდეგ თქვა: ამერიკელებმა მორიგი ფიასკო განიცადეს თავიანთ გეგმებში. მათ დიდად იზარალეს მიმდინარე წლის მშრალ სეზონში. ამერიკელებს უნდოდათ გაენადგურებინათ განთავისუფლების ძალები სამხრეთში. მაგრამ პირიქით გამოვიდა, ეს ძალები მომაგრდნენ. უნდოდათ მოეკაოთ განმათავისუფლებელი მოძრაობის ბაზები, — სინამდვილეში კი ეს ბაზები არათუ ვერ მოსპეს, არამედ განმტკიცდნენ კიდეც. მათი გეგმები სამხრეთის „დამშვიდების შესახებ“ ჩაიფუშა.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ილაპარაკა, თუ როგორ გადაიდგა მისი ქვეყნის ეკონომიკა სამხედრო რელსებზე.

ყოველ ღონეს ვიხმართ, თქვა მან შემდეგ, რომ მსოფლიომ და მსოფლიოს საზოგადოებრიგმა აზრმა გაიგონ ჩვენი ბრძოლა, მიიღონ მისი პრინციპები, რომლებიც ჩამოყალიბებულია ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ოთხპუნქტიან განცხადებაში და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ბ. ბ. ფამ ვან დონგის 28 იანვრის განცხადებაში.

ომს მოვიგებთ, ხაზგასმით აღნიშნა ფამ ვან დონგმა. იმიტომ გავიმარჯვებთ ამ ომში, რომ ჩვენი ბრძოლა სამართლიანია და ჩვენც მტაცედ გვაქვს გადაწყვეტილი ვიბრძოლოთ საბოლოო გამარჯვებამდე. გავიმარჯვებთ. რადგანაც მხარს გვიჭერენ ჩვენი ხალხი და მსოფლიოს ხალხები.

სარაკეტო ჯარების წლისთავი

ჰანოი, 24 ივლისი. (საკდესი). „გმირი სარაკეტო ჯარები“ — ასე უწოდებს დღეს გაზეთი „ნიან-ზანი“ თავის მორიგ ნომერს, რომელიც დაიბეჭდა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სარაკეტო ჯარების 2 წლისთავთან დაკავშირებით. 1965 წლის 24 ივლისს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სარაკეტო ჯარები პირველად ჩაებნენ ბრძოლაში და ჩამოაგდეს სამი ამერიკული თვითმფრინავი. „მას შემდეგ, — წერს გაზეთი, — ჩვენი სარაკეტო ჯარები განუწყვეტლივ აღწევდნენ სახელოვან გამარჯვებებს. მარტო შარშანდელ წლის იქვე თვეში სარაკეტო ცეცხლით ჩამოგდებულია თვრამეტის იმდენივე მტრის თვითმფრინავი, რამდენიც მთელი გასული წლის მანძილზე“.

ნასერის გამოსვლა

კაირო, 24 ივლისი. (საკდესი). გუშინ აქ კაიროში უნივერსიტეტის საკრებულო დარბაზში 23 ივლისის რევოლუციის 15 წლისთავის გამო სიტყვა წარმოთქვა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა გამალ აბდელ ნასერმა. თავისი სიტყვა მან მიუძღვნა ახლანდელ მდგომარეობას, რომელიც შეიქმნა ისრაელის აგრესიის შედეგად.

„არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა, — თქვა პრეზიდენტმა ნასერმა, — ახლა განიცდის ყველაზე დიდ განსაცდელს მთელი თავისი ისტორიის მანძილზე“. შექმნილი მდგომარეობიდან, ხაზი გაუსვა მან, შეიძლება იყოს ორი გამოსავალი: ან უსიტყვო კაპიტულაცია, ან ბრძოლა. მაგრამ ჩვენ არასოდეს არ მოგვიხდენია კაპიტულაცია და ამიტომ გვრჩება მხოლოდ ერთი გზა — „ნამდვილი, ძნელი და მძიმე ბრძოლის გზა“.

ამჟამად, განაგრძო პრეზიდენტმა ნასერმა, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა ახორციელებს თავისი შეიარაღებული ძალების რეორგანიზაციასა და გარდაქმნას. მან ხაზი გაუსვა ამასთან დაკავშირებით, რომ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები მოდამ იყვნენ და არიან ხალხის ავანგარდი და რომ შეიარაღებული ძალების ძლიერება და ღირსება ჩვენი ქვეყნის ძლიერება და ღირსებაა.

პრეზიდენტმა ნასერმა განაცხადა, რომ იკისრა არაბთა სოციალისტური კავშირის გენერალური მდივნის ფუნქციები, გაითვალისწინა რა რესპუბლიკაში მომხდარი პოლიტიკური გარდაქმნების მნიშვნელობა. მისი აზრით, ეხლა საჭიროა გაძლიერონ არაბთა სოციალისტური კავშირის როლი არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ცხოვრებაში, დაიჩარონ სოციალური გარდაქმნების ტემპი. მან თქვა, რომ რამდენიმე უახლოესი დღის განმავლობაში შეიქმნება არაბთა სოციალისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტი, რაც ხელს შეუწყობს სრული დემოკრატიის დამყარებას. „სოციალური და პოლიტიკური თავისუფლება თუ არ იქნა, შეუძლებელია პოლიტიკური დემოკრატია“, — განაცხადა ნასერმა.

შემდეგ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ქვეყნის ტერიტორიის ნაწილის ოკუპაციის მიუხედავად, აგრესორებმა ვერ განაახორციელეს თავიანთი მთავარი მიზანი — სოციალური რევოლუციის ლიკვიდაცია არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში. ჩვენ, განაგრძო მან, არ მოვასპობინებთ ჩვენს რევოლუციას, არ ვიტყვით უარს მისწრაფებებზე და გავათავისუფლებთ ჩვენს მიწა-წყალს.

შეეხო რა საერთაშორისო მდგომარეობას, პრეზიდენტმა ნასერმა ხაზი გაუსვა, არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას ბევრი მეგობარი ჰყავსო. მთელი დარბაზი ტაშით შეხვდა პრეზიდენტის სიტყვებს, რომ საბჭოთა კავშირი მხარს უჭერს არაბთა სამართლიან ბრძოლას.

ნასერმა ამერიკის შეერთებულ შტატებს ბრალად დასდო, რომ მათ მხარი დაუჭირეს ისრაელ აგრესორებს. მან აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ახლო აღმოსავლეთის კრიზისის წარმოქმნიდან საომარი მოქმედების დაწყებამდე იარაღით ამარაგებდნენ ისრაელს. როგორც ნასერმა თქვა, ამერიკის შეერთებული შტატების ამ მოქმედებას ხელი უნდა შეეწყო ორი წლის წინათ შემუშავებული ამერიკული გეგმის რეალიზაციისთვის, რომლის მიზანი იყო ამ რაიონის თავისუფალი რევოლუციური მთავრობების ლიკვიდაცია.

ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ, აღნიშნა პრეზიდენტმა, ამერიკის შეერთებული შტატების პოზიცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მთლიანად დაემთხვა ისრაელის თვალსაზრისს, რომელიც მოითხოვდა არაბთა სრულ და უსიტყვო დამორჩილებას. თუ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ვერ შეძლო ისეთი რეზოლუციის მიღება, რომელიც მოითხოვდა აგრესორთა ჯარების გაყვანას არაბთა ტერიტორიებიდან, აღნიშნა პრეზიდენტმა, ამის ძირითადი მიზეზია ამერიკის შეერთებული შტატების მანევრები და ზემოქმედება მათი გავლენის ქვეშ მყოფ ქვეყნებზე.

დასასრულ ნასერმა გამოთქვა რწმენა, რომ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა გადალახავს ყველა სიძნელეს.

3. როშეს განცხადება

პარიზი, 24 ივლისი. (საკდესი). ახლო აღმოსავლეთის პრობლემის მშვიდობიანი მოწესრიგების ძირითადი პირობაა ისრაელის ჯარების გაყვანა დაპყრობილი ტერიტორიებიდან, განაცხადა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ვ. როშემ, რომელიც გამოვიდა მიტინგზე ობერვილიერში.

ის ფაქტი, ხაზი გაუსვა ვ. როშემ, რომ ისრაელის ჯარები ისევ არიან დაპყრობილ ტერიტორიებზე, საშინ სიტუაციას ქმნის და არსებითად წარმოადგენს ჯიღდოს აგრესიისათვის და ძალის ახალი გამოყენების წახალისებას.

ამჟამად ყველასათვის ცნობილია, რომ ისრაელი, რომელსაც მშვიდობისმოყვარე და უმწეო ქვეყნად გვიხატავდნენ, თავით ფეხამდე შეიარაღებული სასელმწიფოა, რომლის მთავრობას ექსპანსიონისტური გეგმები აქვს, განაცხადა საფრანგეთის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა. ისრაელის ხელმძღვანელები ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერის იმედით პრეტენზიას აცხადებენ ეგვიპტის, იორდანიისა და სირიის ვრცელ ტერიტორიებზე.

ვ. როშემ აღნიშნა, რომ საფრანგეთის კომპარტია მოითხოვს დაუყოვნებლივ გაიყვანოს ისრაელმა ჯარები არაბთა დაპყრობილი ტერიტორიებიდან, გადაიჭრას პრობლემა მშვიდობიანი გზით, რაც ხელს შეუწყობს მტკიცე მშვიდობის დამყარებას.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროდან

28 ივლისს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ საბჭოთა მთავრობის დავალებით არგენტინის რესპუბლიკის საელჩოს მოსკოვში გაუგზავნა ნოტა, რომელშიც ნათქვამია:

„საბჭოთა მთავრობა არგენტინის მთავრობის ყურადღებას მიიქცევს იმ ფაქტს, რომ ა. წ. 22 ივლისს არგენტინის ხელისუფლებამ უხეში თვითნებობა და უკანონობა ჩაიდინეს საბჭოთა თბომავალ „მიჩურინსკის“ მიმართ ბუენოს-აირესის ნავსადგურში. დაახლოებით 16 საათზე ადგილობრივი დროით თბომავალს სადგომთან მივიდა 200-მდე კაცისაგან შემდგარი საზღვაო ქვეითი ჯარის რაზმი მოდარაჯე ძალლებითურთ და ალყა შემოარტყა საბჭოთა გემს. არგენტინის საბაჟო ხელისუფალთა წარმომადგენელნი სამხედრო პირთა თანხლებით ავიდნენ თბომავალზე და განუცხადეს კაპიტანს უნდა შეეამოწმოთ გემზე არსებული დიპლომატიური ფოსტაო.

ამასთან ხიშტით დაეჩეხა საბჭოთა მატროსი.

არგენტინის ხელისუფლათა ეს პროვოკაციული მოქმედება ფეხქვეშ გათელა საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ მიღებული ნორმებისა და ვენის 1961 წლის კონვენციისა დიპლომატიური ურთიერთობის შესახებ. არგენტინის ხელისუფალთა წარმომადგენლების უხეში თვითნებობა სხვა არა არის რა, თუ არა წინასწარ განზრახული აქცია, რომლის მიზანია გაამწვაოს საბჭოთა კავშირისა და არგენტინის ურთიერთობა.

საბჭოთა მთავრობა მტკიცე პროტესტს აცხადებს თბომავალ „მიჩურინსკის“ მიმართ არგენტინის ხელისუფალთა უკანონო მოქმედების წინააღმდეგ, მოითხოვს დაუყოვნებლივ შეწყდეს ეს მოქმედება და მოელის, რომ დამნაშავეები მკაცრად დაისჯებიან. საბჭოთა მხარე უფლებას იტოვებს მოითხოვოს არგენტინის ხელისუფალთა უკანონო მოქმედებით მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრო სთხოვს არგენტინის რესპუბლიკის საელჩოს დაუყოვნებლივ გააცნოს ამ ნოტის შინაარსი არგენტინის მთავრობას“.

ფოტოკალეიდოსკოპი

საფრანგეთი. ეს ნაგებობა (სურათზე ზემოთ) ხიდი არ გეგონოთ — იგი ელექტრონულია, რომელიც ზღვის მოქცევისა და უკუქცევის ძალით მუშაობს. ელექტროსადგური აშენებულია ქალაქების დინანისა და სენ-მალოს შუა ყურეში ლა-ბანშის სანაპიროზე. წყლის დონის სხვაობა აქ 13,5 მეტრია, კაშხალის სიგრძე 350 მეტრი.

ვენგრია. ასე ამენებენ ჰონკონგში სახლებს. ეს გასაგებიც არის — აქ არაფერი არ ფასობს ხელით შრომაზე უფრო იაფად.

მონღოლეთი. რესპუბლიკის ტერიტორიაზე შემორჩენილია ბევრი ძველი, რომლებიც ქვეყნის უძველეს კულტურას ადასტურებენ. მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერებმა უკანასკნელ ხანს 30-ზე მეტი უძველესი სამარხი აღმოაჩინეს. მეცნიერული კვლევის შედეგად მიღებულია ძვირფასი ცნობები იმ ხალხების ისტორიიდან, რომლებიც ცენტრალურ აზიაში სახლობდნენ. სურათზე თქვენ ხედავთ უძველეს საფლავის ფილას მდინარე შინ-ხიდ-გოლის ველზე.

ბრძოლები აღმოსავლეთ ნიგერიაში

ლონდონი, 24 ივლისი. (საკდესი). ლაგოსში გამოქვეყნდა ფედერალური მთავრობის არმიის სამხედრო სარდლობის კომუნიკე, რომელშიც აღნიშნულია, რომ ფედერალური ჯარები შეეიდნენ ქალაქ იკომში და ბრძოლებს აწარმოებენ აღმოსავლეთ ნიგერიის არმიის ნაწილების წინააღმდეგ ქალაქისთვის.

პარიზი, 24 ივლისი. (საკდესი). ფედერალური ჯარები შეეიდნენ ავრეთვე ქალაქ ნკალაგოში, რომელიც ენუგუს აღმოსავლეთით 37 კილომეტრზე მდებარეობს. ამას ლაგოსიდან გვატყობინებს ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი, რომელიც იმოწმებს სამედიცინო წყაროებიდან მიღებულ ცნობებს. როგორც კორესპონდენტი აღნიშნავს, ფედერალური ჯარების მიერ ნსუკის, იკომისა და ნკალაგოს ხელში ჩაგდება ნიშნავს, რომ აღმოსავლეთის ოლქის დედაქალაქს ალყა ემუქრება. ფედერალური ჯარებისა და აღმოსავლეთ ნიგერიის არმიის ნაწილების ბრძოლა ენუგუდან 30 კილომეტრზე მიმდინარეობს.

ოქროს მედალი საბჭოთა ბალეტმეისტერებს

ბუენოს აირესი, 24 ივლისი. (საკდესი). ბუენოს აირესში ბალეტის ფესტივალზე, ბალეტმეისტერთა II საერთაშორისო კონკურსზე ოქროს მედალი ერგო ბალეტ „ბალეტ ბალეტ“-ის ავტორ ბ. ეიფმანს. ეს ბალეტი ასრულებს ლენინგრადის ბალეტის თეატრის ბალეტმეისტერ ბ. ეიფმანის ბალეტ „ბალეტ ბალეტ“-ის ავტორ ბ. ეიფმანს. ეს ბალეტი ასრულებს ლენინგრადის ბალეტის თეატრის ბალეტმეისტერ ბ. ეიფმანის ბალეტ „ბალეტ ბალეტ“-ის ავტორ ბ. ეიფმანს. ეს ბალეტი ასრულებ

ბ. ეიფმანის ბალეტ „ბალეტ ბალეტ“-ის ავტორ ბ. ეიფმანს. ეს ბალეტ

ჩვენს ყარა-ჭყარეში

გვაცყობინებენ „კომუნისტისა“ და საქმესის კორესპონდენტები

ქალაქი ხარაჩოებში

ზუგდიდი. (საკ. კორ.). სულ უფრო ლამაზდება და კეთილმოწყობილი ხდება ქალაქი ზუგდიდი. მრავალსართულიანმა სახლებმა, ახალ საწარმო-დაწესებულებათა შენობებმა, მრავალმა საწარმომ სახე უცვალა ქალაქს.

ოქტომბრის დღესასწაულს მშენებლები ახალი მიღწევებით ხვდებიან, საიუბილეოდ ბევრ შენობას ჩამოეხსნა ხარაჩოები.

წელს საფუძველი ჩაეყარა ორჯონიკიძისა და რუსთაველის ქუჩების გადაკვეთაზე 48-ბინიანი ხუთსართულიანი საცხოვრებელ, სახლის მშენებლობას, დაიწყო პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფილიალის მშენებლობა სოხუმის ქუჩაზე. საიუბილეო წელს დამთავრდება სამსართულიანი უნივერმაღის აგება ოქტომბრის ქუჩაზე. საფუძველი ჩაეყარა აბანო-ქიმწმენდის და სამრეცხაოს მშენებლობას.

ხარაჩოები ჩამოეხსნა და მალე საეკსპლოატაციოდ გადაეცემა რუსთაველის ქუჩაზე 4-სართულიანი 162-ადგილიანი სახლი, სადაც იცხოვრებენ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან მივლინებით ჩამოსული სტუმრები. სახლის პირველ სართულზე გაიხსნება რესტორანი, „სოიუზპეჩატის“ განყოფილება, საპარიკმახერო, ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის შეკეთებელი სახელოსნო.

ნაირ-ნაირი

△ **ტყიბული.** (საკ. კორ.). სოფელ ორპირს ამ დღეებში კიდევ ერთი სიახლე შეემატა. მის ცენტრში, მთის მდინარე წყალწითელას მარცხენა ნაპირზე გაიხსნა ახალი ორსართულიანი კეთილმოწყობილი რესტორანი.

△ **ახალციხე.** (საკ. კორ.). რაიონის მშრომელები ძვირფას საჩუქარს მოელიან ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის იუბილესათვის. მათს ოჯახებში ცისფერი ეკრანი აციაფდება.

ამჟამად დიდი სამუშაოები მიმდინარეობს აბასთუმან-ახალციხის სატელევიზიო სპაერო ხაზის გაყვანაზე. ხაზის სიგრძე 20 კილომეტრია. 12 კილომეტრზე უკვე დაყენებულია საყრდენი ბოძები.

△ **თიანეთი.** (საკ. კორ.). აქ ყველაზე დიდი სამშენებლო ობიექტია რაიონული კულტურის სახლის მშენებლობა. ყოველდღიურად მაღლა მიიწევს სბამშვო ბაღის ახალი შენობის კედლებიც.

სოფელ ჩეკურაანთგორში მთავრდება თორმეტბინიანი საცხოვრებელი სახლისა და რვაწლიანი სკოლის ახალი შენობის აგება. მიმდინარეობს ხევსურთსოფლის რვაწლიანი სკოლისა და ახალსოფლის სასოფლო საბჭოს შენობების მშენებლობა.

სტუმრად საქართველოში

ერთი კვირის განმავლობაში ეცნობოდნენ ჩვენს რესპუბლიკას იუგოსლავიის, უნგრეთის, ჩილეს, ბოლივიის, სალვადორის, მოზამბიკის, ეკვატორული გვინეის, პორტუგალიის და პაკისტანის ახალგაზრდულ ორგანიზაციათა წარმომადგენლები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ახალგაზრდობის საერთაშორისო შეხვედრაში, ივლისის ბოლოს ქ. ლენინგრადში რომ გაიმართება. ამ დიდ ღონისძიებაზე, რომელიც დიდი ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავს ეძღვნება, მსოფლიოს 120 ქვეყნის ახალგაზრდობამ გამოგზავნა თავისი წარმომადგენლები.

სტუმრები გაეცნენ ქართველი ახალგაზრდობის ცხოვრებას, დაათვალიერეს თბილისის ღირსშესანიშნაობანი, მეტროპოლიტენი, შეხვდნენ სხვადასხვა საწარმოს მუშებს, მოინახულეს მცხეთის ჯვარი, სვეტიცხოველი, საგურამო; იყვნენ თელავში, იყალთოში, წინანდალში, სიღნაღში, ტიბაანში... საზღვარგარეთელ სტუმრებს ყველგან გულთბილად ხვდებოდნენ.

• • •

სურათებზე: სტუმრები ეცნობიან თბილისს. შეხვედრა იყალთოში. მცხეთელ პიონერებთან.

ფოტოები ვ. გენგიურისა.

ქ. ა. მგელაძე

გარდაიცვალა საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი, მარტყოფის ამშობიარო სახლის მთავარი ექიმი ქალბატონ ალექსანდრა ნიკოლოზის ასული ეგელაძე. ქ. მგელაძე დაბადებულ 1899 წელს ახალციხის რაიონის სოფელ ბახვში, გამოჩენილი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის ოჯახში. 1918 წელს დაამთავრა ბათუმის ქალთა გიმნაზია, ხოლო 1924 წელს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტი.

1924-1926 წლებში ქ. მგელაძე მუშაობდა ბათუმის საჩვენებელი საავადმყოფოს ქირურგიული და გინეკოლოგიური განყოფილების ორდინატორად. 1927 წელს მუშაობა დაიწყო მახარაძის პოლიკლინიკის ქირურგიული და გინეკოლოგიური კაბინეტის გამგედ. დიდი სამამულო ომის წლებში იყო ევაკოჰოსპიტლის განყოფილების გამგე, ხოლო 1945 წლიდან გარდაცვალებამდე მუშაობდა მახარაძის სამშობიარო სახლის მთავარ ექიმად.

ქ. მგელაძე იყო კარგი სპეციალისტი, ენერგიული და დაუზარელი მუშაკი, რომელიც მთელ თავის მდიდარ გამოცდილებას მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესებას ახმარდა. ამავე დროს ეწეოდა მრავალმხრივ პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობას. ქ. მგელაძე არაერთხელ იყო არჩეული რაიონული და საქალაქო საბჭოს დეპუტატად.

ჯანმრთელობის დაცვის დარგში ხანგრძლივი, ნაყოფიერი და უმწიკვლო მუშაობისათვის ქ. მგელაძე დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით.

გულისხმიერი ადამიანისა და კარგი სპეციალისტის ხსოვნა მუდამ იცოცხლებს იმათ გულში, ვინც მას იცნობდა.

ამხანაგების ჯგუფი.

სპარტაკიადის დღეები

სტაერტები და ფინიშები

სპარტაკიადაზე საჭადრაკო საათები ჩართეს. საქართველოს გუნდი მოხვდა პირველ ქვეჯგუფში. პირველ ორ ტურში მან ერთნაირი ანგარიშით 6:4 დაამარცხა უზბეკეთისა და აზერბაიჯანის გუნდები.

საქართველოს კალათბურთელ ვაუთა გუნდმა, რომელიც მეორე ფინალურ ჯგუფში გამოდის, ზედიზედ მოიგო შეხვედრები. უკანასკნელ თამაშში მან ორი ქულით სძლია უაზახეთის გუნდს — 72:70 (40:31) და მე-7 ადგილი დაიკავა. ჩვენი ქალთა გუნდის უკანასკნელი შეხვედრა გულსატკივნი აღმოჩნდა, დამარცხდა უაზახეთის კალათბურთელებთან — 52:62 და საბურნირო ცხრილში მეათე ადგილზე გამოვიდა.

რადგან საუბარი სხვა გუნდებზე ჩამოვიდა, აქ გვინდა შევეხოთ მოსკოვისა და უკრაინის ვაუთა გუნდების უკანასკნელ თამაშს. ამ მატჩზე უკრაინის გუნდი დაუმარცხებელად მოვიდა და სწორედ ამ ასპარეზობაზე წყდებოდა ოქროსა და ვერცხლის მედლების ბედი. უკრაინელმა კალათბურთელებმა უჩვენეს ჩინებული ბრძოლა, ჭეშმარიტად დიდი კალათბურთი და სძლიეს ჩემპიონთა გუნდს 28 ქულის სხვაობით — 73:45. მეორე ადგილი ესტონელებს ხვდათ. მოსკოველები ბრინჯაოს მედლით დაკმაყოფილდნენ. ქალთა გუნდებს შორის ჩემპიონის წოდება ლატვიის გუნდმა მოიპოვა. რა თქმა უნდა, არც ჩვენი ფრენბურთელების შედეგით ვართ კმაყოფილი. მეცხრე ადგილი ქალთა შორის და ასეთივე ადგილი ვაუთა კოლექტივების ტურნირში არცოუ სახარბიელოა.

მართალია, ჩვენი ქვეყნის ჩემპიონმა ა. მეგრელელმა მოსკოველებთან დამარცხება განიცადა, მაგრამ ამის შემდეგ მისი თამაში დღითიდღე აღმავლობას განიცდის. ამის მკაფიო დადასტურებაა მისი გამარჯვება რსფსრ-ისა და ლატვიის გუნდების პირველ ჩოგნებთან ვ. ვასილიევთან — 6:8, 6:2, 6:4 და ი. იუშკასთან — 6:3, 3:6, 6:2.

გუშინ სტარტი აიღეს ტანმოვარჯიშე ქალებმა. დღის პირველ ნახევარში ქალებს ცდიდნენ 12 მოკავშირე რესპუბლიკის ტანმოვარჯიშეები. ოთხივე იარაღზე თანაბრად გამოვიდნენ ჩვენი სპორტსმენები, რომლებმაც სავალდებულო პროგრამის შემდეგ ხელი იგდეს ლიდერობა — 251,85 ქულა. პირად ბრავლაში სავალდებულო პროგრამის შემდეგ პირველ ადგილზეა ა. ჯანუყაშვილი — 37,25 ქულა.

ვ. გაგელია.

„კომუნისტის“ სპეც. კორ.

მოსკოვი, 24 ივლისი.

ქულები...

მდგომარეობა 24 ივლისისათვის

1. მოსკოვი — 334 ქულა
2. რსფსრ — 318
3. უკრაინა — 309
4. ლენინგრადი — 264,5
5. საქართველო — 242
6. ლიტვა — 231
7. ბელორუსია — 226
8. უაზახეთი — 223
9. ლატვია — 220
10. აზერბაიჯანი — 217
11. ესტონეთი — 212
12. უზბეკეთი — 199
13. სომხეთი — 138,5
14. ყირგიზეთი — 123
15. მოლდავეთი — 123
16. ტაჯიკეთი — 83.
17. თურქმენეთი — 79

ევროპის თასის ფინალში

სტოკჰოლმში დამთავრდა ევროპის თასის გათამაშების ნახევარფინალური შეჯიბრება მძლოსნობაში მამაკაცთა გუნდებს შორის. პირველობა არავის დაუთმო საბჭოთა კავშირის ნაკრებმა, რომელმაც დააგროვა 105 ქულა. მეორე ადგილი 87 ქულით დაიკავეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მძლეოსნებმა. ამ ორმა გუნდმა უფლება მოიპოვა მონაწილეობა მიიღოს ევროპის თასის გათამაშების ფინალში.

ფეხბურთი მატჩები და შედეგები

△ **კვირას მინსკში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „დინამო“ და გათამაშების ერთ-ერთი ლიდერი კიევის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდი. შეხვედრა დამთავრდა სტუმრების გამარჯვებით ანგარიშით 3:1.**

△ **გუშინ** მოსკოვში გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი მოსკოვისა და როსტოვის არმიელ ფეხბურთელთა გუნდებს შორის. თამაში დამთავრდა როსტოველთა სასარგებლოდ — 2:1.

△ **თბილისში** „ლოკომოტივის“ სტადიონზე გაიმართა „ა“ კლასის მეორე ჯგუფის გუნდების შეხვედრა სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში. თბილისის „ლოკომოტივი“ ეთამაშებოდა ბათუმის „დინამოს“! პირველ ტაიმში ჭელიძის მიერ მოწიაალმდეგის კარში გატანილი ბურთი ერთადერთი აღმოჩნდა და მატჩი დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით ანგარიშით 1:0. ორჯონიკიძეში თამაშობდნენ ადგილობრივი „სპარტაკი“ და ტყიბულის „მეშახტე“. შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 0:0.

ჭადრაკი სტუდენტთა მსოფლიო პირველობა

ჩეხოსლოვაკიის ქალაქ ბარანოვში გრძელდება სტუდენტ მოჭადრაკეთა მსოფლიო პირველობა. პირველ ტურში ჩვენი მოჭადრაკეების შეხვედრა დანიის გუნდთან დამთავრდა ფრედ — 2:2. შემდეგ შეხვედრაში საბჭოთა მოჭადრაკეებმა დაამარცხეს იუგოსლავიელები ანგარიშით 3,5:0,5. დანარჩენი მატჩების შედეგია: დანია-შვეიცია 2,5:1,5; გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა-რუმინეთი — 2,5:1,5, ჩეხოსლოვაკია-ბულგარეთი — 3:1; ამერიკის შეერთებული შტატები-ინგლისი — 2:1 (ერთი პარტია გადადებულია).

მესამე ტურში საბჭოთა გუნდმა 3:1 გაიმარჯვა რუმინელებთან შეხვედრაში. ბულგარეთისა და ინგლისის მოჭადრაკეების შეხვედრა დამთავრდა 1,5:1,5 (ერთი პარტია გადადებულია), ამერიკის შეერთებული შტატები-გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა — 2,5:0,5 (ერთი გადადებული პარტია), ჩეხოსლოვაკია-დანია — 1,5:0,5 (ორი გადადებული პარტია), იუგოსლავია-შვეიცია — 2:0 (ორი გადადებული პარტია).

სამი ტურის შემდეგ ლიდერთა მდგომარეობა ასეთია: საბჭოთა კავშირის სტუდენტ მოჭადრაკთა გუნდს 8.5 ქულა აქვს, ამერიკის შეერთებულ შტატებს — 8 ქულა და ორი გადადებული პარტია, ჩეხოსლოვაკიას — 7 ქულა და ორი გადადებული პარტია.

ჩაშალა ჰაბუკ მოჭიდაკეთა ჩემპიონატი

ბულგარეთის ქალაქ ხასკოვოში 22 აგვისტოდან 27 აგვისტომდე უნდა გამართულიყო ჰაბუკთა მსოფლიო პირველი ჩემპიონატი თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში. ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ მასპინძლებს ჩემპიონატის გამართვის ნება არ დართო იმ მოტივით, რომ ბულგარეთმა თითქოს ვიზები არ მისცა სამხრეთ აფრიკის კავშირის, სამხრეთ კორეის, ტაივანისა და ისრაელის წარმომადგენლებს. სინამდვილეში კი ასეთი რამ არ ყოფილა — ბულგარეთში შესვლის ვიზებზე შეჯიბრების მონაწილე არც ერთი ქვეყნისათვის უარი არ უთქვამთ.

ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტის კულონნის ცდა — მსოფლიო სპორტული საზოგადოებრივობის თვალში მოახდინოს ბულგარეთის ჭიდაობის ფედერაციის დისკრიმინაცია მიზანს ვერ მიაღწევს.

საერთაშორისო ფეხბურთელთა ბურთი

ბუენოს აირესი. (ტასი). ბრაზილიელ ფეხბურთელ ფელეს ერთ-ერთი უშესანიშნავესი არქიტექტურული ძეგლის ბელვედერის სასახლის დამთვალიერებელნი, თურმე, იმ მოზაიკურ ფილებზე დადიან, რომლებზეც ნერონს უვლია, ლენინგრადის არქივებში აღმოჩენილ დოკუმენტები, რომლებიც აშუქებენ ანტიკური კულტურის ამ დიდებული ძეგლის ისტორიას.

დადგენილია, რომ 19 საუკუნის წინათ შექმნილი მოზაიკა ამშვენებდა რომის იმპერატორის სასახლეს კაპრის კუნძულზე. XIX საუკუნის დამდეგს თეთრი მარმარილოს ფრიზები და წვრილი მოზაიკის ფრაგი კვადრატები იტალიიდან ჩამოიტანეს გრაფის ცოლის ა. გ. ლავალის სახლისათვის, რომელიც პეტერბურგში ააშენეს.

მ. ფრიდმანი.

ლენინგრადი.

ამინდი ივლისი „პოგოქრობს“

ივლისს სამართლიანად უწოდებენ ზაფხულის „საქოჩრეს“ — იგი წელიწადის ყველაზე ცხელი თვეა.

აი რას აჩვენებს ჩრდილოეთ ნახევარსფეროს ამინდის რუკა: გეალეამ მოიცვა კანადის სასოფლო-სამეურნეო რაიონები. მოსავალს დაღუპვა ემუქრება; **ინდოეთში** კი წყალდიდობაა — მდინარეებმა დაფარეს 600-მდე სოფელი **პარიზში** ცხელა — თერმომეტრი 30 გრადუსზე მეტს უჩვენებს, **ბურგუნდიაში** მზემ ასფალტი გაადნო გზატკეცილებზე; ხოლო **ინგლისს** კოკისპირული წვიმები დაატყდა თავს, დატბორილია გზატკეცილები და რკინიგზები.

სამხრეთ აფრიკაში კი, სადაც ივლისი ზამთრის თვეა, მკვეთრად დაეცა ტემპერატურა. თოვლი სქელი საფარი ადევს ხუთი ათასზე მეტ კვადრატულ მილ ტერიტორიას. დიდად დაზიანდა კავშირგაბმულობისა და ტრანსპორტის ხაზები, არის ადამიანთა მსხვერპლიც. **ანტარქტიდის** სუნთქვამ შეაღწია ჩილეში, სადაც უჩვეულოდ აცივდა.

ცნობისმოყვარეთათვის

ნერონის ნაკვალევზე

პეტერგოფის ერთ-ერთი უშესანიშნავესი არქიტექტურული ძეგლის ბელვედერის სასახლის დამთვალიერებელნი, თურმე, იმ მოზაიკურ ფილებზე დადიან, რომლებზეც ნერონს უვლია, ლენინგრადის არქივებში აღმოჩენილ დოკუმენტები, რომლებიც აშუქებენ ანტიკური კულტურის ამ დიდებული ძეგლის ისტორიას.

დადგენილია, რომ 19 საუკუნის წინათ შექმნილი მოზაიკა ამშვენებდა რომის იმპერატორის სასახლეს კაპრის კუნძულზე. XIX საუკუნის დამდეგს თეთრი მარმარილოს ფრიზები და წვრილი მოზაიკის ფრაგი კვადრატები იტალიიდან ჩამოიტანეს გრაფის ცოლის ა. გ. ლავალის სახლისათვის, რომელიც პეტერბურგში ააშენეს.

მ. ფრიდმანი.

ლენინგრადი.

სიცოცხლის გადარჩენა

დუშეთი. (საკ. კორ.). რაიონულ ცენტრში სტუმრად მყოფმა ხევსურმა ახალგაზრდებმა ხ. ქერაულმა, ტ. არაბულმა და ი. წიკლაურმა, პაპანაქების სიცხეში საბანაოდ ბაზალეთის ტბას მიაშურეს. პირველი ტბაში შევიდა ი. წიკლაური. მას მიჰყვა ხ. ქერაული. ორიოდე წუთში ი. წიკლაური ქერაულს თვალწინ ჩაიძირა, იხრჩობოდა. ამხანაგის გადასარჩენად ტბაში ჩაყვინთა ხ. ქერაულმა, რომელმაც გულწასული წიკლაური ზემოთ ამოიყვანა. მაგრამ ძალამ უღალატა, დაიბნა და ვერ შეძლო მისი ნაპირზე გაყვანა. წიკლაური კვლავ ჩაიძირა. ტ. არაბულის ყვირილზე ტბასთან მიირბინა დუშელმა ახალგაზრდა სპორტსმენმა ოთარ ივანეს-ძე ზაქაიძემ. იგი უშიშრად ჩაეშვა ტბის ფსკერზე და წიკლაური სამშვიდობოს გამოიყვანა.

იქვე მახლობლად აღმოჩნდა ექიმი ოთარ ნანეიშვილი, რომელმაც პირველი დახმარება აღმოუჩინა წიკლაურს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალაქი ხარაჩოებში

ზუგდიდი. (საკ. კორ.). სულ უფრო ლამაზდება და კეთილმოწყობილი ხდება ქალაქი ზუგდიდი. მრავალსართულიანმა სახლებმა, ახალ საწარმო-დაწესებულებათა შენობებმა, მრავალმა საწარმომ სახე უცვალა ქალაქს.

ოქტომბრის დღესასწაულს მშენებლები ახალი მიღწევებით ხვდებიან, საიუბილეოდ ბევრ შენობას ჩამოეხსნა ხარაჩოები.

წელს საფუძველი ჩაეყარა ორჯონიკიძისა და რუსთაველის ქუ-

ბოსკოველი მორბენლებისათვის

„საძხილნოსტანის“ საჩხერის დამზადების კანტორამ (დირექტორი გ. ნოზაძე) მიმდინარე წელს სეზონზე მოსკოველ მშრომელებს გეგმით უნდა გაუგზავნოს 100 ტონა კურკოვანი ხილი. დღემდე ვაგონ-მაცივრით გაიგზავნა 65 ტონა ხილი. კანტორის კოლექტივმა იკისრა პირველ აგვისტომდე დაამთავროს გეგმის ზევით 20 ტონა კურკოვანი ხილის გაგზავნა.

ა. ანასაშვილი.

ამინდი ივლისი „პოგოქრობს“

ივლისს სამართლიანად უწოდებენ ზაფხულის „საქოჩრეს“ — იგი წელიწადის ყველაზე ცხელი თვეა.

აი რას აჩვენებს ჩრდილოეთ ნახევარსფეროს ამინდის რუკა: გეალეამ მოიცვა **კანადის** სასოფლო-სამეურნეო რაიონები. მოსავალს დაღუპვა ემუქრება; **ინდოეთში** კი წყალდიდობაა — მდინარეებმა დაფარეს 600-მდე სოფელი **პარიზში** ცხელა — თერმომეტრი 30 გრადუსზე მეტს უჩვენებს, **ბურგუნდიაში** მზემ ასფალტი გაადნო გზატკეცილებზე; ხოლო **ინგლისს** კოკისპირული წვიმები დაატყდა თავს, დატბორილია გზატკეცილები და რკინიგზები.

სამხრეთ აფრიკაში კი, სადაც ივლისი ზამთრის თვეა, მკვეთრად დაეცა ტემპერატურა. თოვლი სქელი საფარი ადევს ხუთი ათასზე მეტ კვადრატულ მილ ტერიტორიას. დიდად დაზიანდა კავშირგაბმულობისა და ტრანსპორტის ხაზები, არის ადამიანთა მსხვერპლიც. **ანტარქტიდის** სუნთქვამ შეაღწია ჩილეში, სადაც უჩვეულოდ აცივდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული პრაზის კიდევ ერთი პერსონაჟი ავიდა სცენაზე. ეს გახლავთ გვადი ბიგვა. ჩვენი ძველი ნაცნობი გვადი — ფლიდი და ძაღლოთაპირი გვადი, რომელსაც ათასნაირი ტყუილისა თუ სიმართლის თქმა, ხშირად პირფერობის პან დაუდგენელი იარაღის ხმარება უხდება, რათა როგორმე გაიტანოს ეს წუთისოფელი და თავის ხახადაფჩენილ ბავშვებს საკვები უშოვნოს.

... სწრაფად იღება ჯარგვალის კარი და მსუბუქად, ქურდულად, თითქოს სურს დილის ნისლს შეერწყასო, გვადი მოულოდნელად გამოჩნდება ჩვენ წინ. ეს უკვე გახლავთ ეროსი მანჯგალაძე, ჩვენი ძველი ნაცნობი ეროსი — ბრწყინვალე მსახიობი, რომლის ფანტაზიამ ასეთ როლებში აჯ იცის საზღვარი.

ჩვენ ამაში მალე დავრწმუნდებით.

გვადის გამოჩენას წინ უძღვის მცირე სცენა... ჩვენ გვესმის მხიარული, მოჩვენებითი სიყიოზულობითა და სვედიანობით გამსჭვალული ძველი მეგრული მელოდია „მარეგელი“. ეს სიმღერა ამ სპექტაკლს თავისებურად ტონს აძლევს. საქმე სიმღერის ტექსტი როდია. მთელი მისი ფაქტურა, ხვეულები, მკვირცხლი გადასვლები, კვიმატი შექცევანი, სიმღერის მთავარი გმირის ირონიული დამოკიდებულება საკუთარი ბედისადმი თითქოს სპექტაკლის კამერტონია (სპექტაკლი მუსიკალურად გააფორმა ბ. კვერნაძემ). ამ სიმღერას ხშირად მღერის სპექტაკლში ეროსი მანჯგალაძე და ადვილად სარწმუნოა, რომ სწორედ ისეთმა ადამიანებმა, როგორიც სცენაზე გვადია, შექმნეს ეს მელოდია — ხელმოცარული, მაგრამ მხიარული კაცის მელოდია. შემდეგ დილის ნისლი მთებისკენ, მაღლა მიიწევს. ნელა ჩნდება სოფლის დაქანებული გზები, მეგრული ოდებისა თუ ფაცხების სახურავები, სოფლის ორღობები, სადაც სოფლელები ნაჩქარევად, ჯერ კიდევ ძილისგან დაუწმენდელი ხმით ესალმებიან ერთმანეთს, ყრუდ, თითქოსდა ჩვეულების კარნახით, კითხულობენ ერთმანეთის ამბავს და გზას განაგრძობენ ისე, რომ პასუხს არც ელოდებიან. ეს ზუსტი დეტალები — გამოღვიძებული სოფელი, ყოფის დამახასიათებელი რეალიები (მხატვარი დ. თავაძე) ქმნიან იმ ატმოსფეროს, სადაც უნდა განვითარდეს გვადის კაცად „მოქცევის“ ამბავი.. ეს ამბავი კი ჯერ ნელა, შემდეგ უფრო და უფრო სწრაფად და ფართოდ მოეფება მთელს სპექტაკლს, იქცევა მის ცენტრად და ჩვენი დაინტერესების წყაროდ.

რასაკვირველია, ზოგიერთი ის პრობლემა, რომელიც ლ. ქიაჩელის ცნობილ რომანშია წამოყენებული და გადმოსულია სპექტაკლში, დღევანდელ მაყურებელს ინტერესს არ აღუძრავს. დრომ სოციალური მხარე პრობლემებისა უკვე დიდი ხანია მოხსნა, მაგრამ უცვლელი დარჩა მისი ადამიანური მხარე. კერძოდ, გარემოს მოქმედება ადამიანის ფსიქოლოგიაზე, მის ცვალებადობაზე და სულიერ განვითარებაზე; უფრო ზუსტად — უცვლელი დარჩა ჩვენი ინტერესი პიროვნებაში ახალი ინდივიდუალობის წარმოქმნის პროცესისადმი, რაც ნამდვილი ლიტერატურისა და ხელოვნების თემაა. ამიტომ მოექცა გვადი სპექტაკლის ცენტრში და რეჟისორის აქცენტებმაც სწორედ ამ სახეში მოიყარეს თავი (ინსცენირების ავტორები შ. სალუქვაძე და მ. თუმანიშვილი).

ეს წარმოდგენა მხოლოდ მაშინ არის ნამდვილი სპექტაკლი, როცა სცენაზეა ეროსი მანჯგალაძე. ამ დროს ჩვენ ყურადღებას აღარ ვაქცევთ გარეგნული დეტალებისადმი იმ, ზოგჯერ ზედმეტ, ერთგულებას, რაც მოულოდნელია მიხეილ თუმანიშვილისაგან (რომელსაც უფრო პირობითი, განზოგადებული ფორმები იზიდავს), არც სხვა ეპიზოდებს, რომელთაც „გავლითი“ ხასიათი აქვთ და სიუჟეტის განვითარების აუცილებლობით არიან ნაკარნახევი.

ამ სპექტაკლში სხვა მსახიობებს გამთამაშებლის ფუნქცია აკისრიათ, რათა უკეთეს პოზიციაზე „გაიყვანონ“ ეროსი მანჯგალაძე.

საერთოდ მ. თუმანიშვილის საუკეთესო სპექტაკლებში ყოველთვის რამდენიმე სახე ნამდვილ მხატვრულ სიმაღლემდეა ხოლმე აყვანილი. ამ შემთხვევაში ყველაფერი ეწირება ეროსი მანჯგალაძეს, და ეს მსხვერპლი გამართლებულია. მსახიობი არ თამაშობს ძონძებში გამოწვეულ ბრძენს. ეს არის ჩვენი მიწიდან ამოზრდილი გლეხი, თითქოს ფოლკლორის პერსონაჟიც კი, მაგრამ განსხვავებით ფოლკლორის გმირის სწორხაზოვნებისა და ერთპლანიანობისაგან, იგი რთული ტიპია, სავსე იუმორითა და დრამატული ცხოვრებით. მას აქვს თავისი სამყარო, მართალია პრიმიტიული სამყარო, მაგრამ სამაგიეროდ საკუთარი, განსხვავებული. ამიტომ იგი უეჭველად საინტერესო კაცია და, მიუხედავად თავისი სიგლახაკისა და სიბეჩავისა, წარმოიდგინეთ, თავისებურად მაღლა დგას სხვებთან, მასზე უფრო ჭკვიანებთან და ძლიერებთან შედარებით.

რა ანიჭებს მას მომხიბვლელობას, რასაც ვერავინ უარყოფს? რასაკვირველია, იუმორი, რაც ბუნებას მისთვის უხვად მიუმადლებია, სიკეთე, რომელიც ყოველნაირი „პლუტარის“ დროსაც სჭევიის, თავისი ბავშვებისადმი სიყვარული, ბედის დაუდგომლობა, რაც კეთილად განგვაწყობს გვადის მიმართ. მაგრამ ყველაფერი ეს ნაწარმოებში თავიდანვე მოცემული და მსახიობიც ამას შესანიშნავად გვიჩვენებს. მთავარია არა მარტო ის, რომ ეროსი მანჯგალაძემ პლასტიკური სახე მისცა ამ თვისებებს, არამედ უფრო მნიშვნელოვანი: მან ახალი რამ შემატა გვადის, უფრო გაანათა მისი შინაგანი სამყარო. ეს გახლავთ გრძნობა თამაშისა, გადასხვაფერების, არტისტული შეგუებისა.

ცხოვრებას გვადი უყურებს როგორც რთულს, გაუგებარს, მისთვის აუხსნელ რაიმეს. აქ საჭიროა სიცრუე, ბნელ ხალხთან კავშირი, ათასნაირი მამაძაღლობა, მაგრამ ამავე დროს საჭიროა თამაში, არტისტობა, რათა ეშმაკობა ადვილად არ შეგიტყონ და ეროსის გვადის ეს შეგუება შემოქმედებით პროცესად მიუჩნევია. თურმე გვადი შემოქმედებითი ბუნების კაცია, აქვს ცხოველი ფანტაზია, სიტუაციაში სწრაფად გარკვევის ნიჭი. ამ დროს თავისი სულიერი სამყაროდან იგი შესაფერის ნიღაბს იღებს. ეროსი მანჯგალაძე არ მალავს ამას, როცა იგი, ანუ მისი გვადი, თამაშობს, ფანტაზიორობს, სახეს იცვლის, გვიჩვენებს თავის სახეს იმგვარად, როგორიც იგი არ არის სინამდვილეში. ამავე დროს მსახიობი თხემით ტერფამდე გვადია. ნამდვილი მეგრელი გლეხი და ეს ნამდვილობა, შერწყმული ხაზგასმულ თეატრალურობასთან, ეს ორმხრივობა სინამდვილისა და წარმოსახვის მონაცვლეობისა, ეს ორფა, რთული პროცესი ბუნებრივად და შესანიშნავად აქვს გადმოცემული მსახიობს. იგი საკუთარი თავისა და ბავშვების წინაშე ბევრს თამაშობს, რათა ადამიანური ღირსება საბოლოოდ არ შეელახოს. თვით უკეთ იცის, როდის არის ნამდვილი გვადი და როდის ცრუ, სხვა, მეორე გვადი, მაგრამ ეს მეორე, საკუთარ ფანტაზიაში შობილი კაცის ნიღაბი უფრო მოსწონს და ხშირად მიმართავს მას. ეროსი მანჯგალაძე გვიჩვენებს ამ ორი სახის დაახლოებისა და ერთად ქცევის პროცესს.

აქ რაიმე სულიერ გაორებას და შინაგან კონფლიქტს კი არ ვგულისხმობთ (მადლობა ღმერთს. ამისგან თავისუფალია გვადი), არამედ მსახიობის მრავალმხრივ ნიჭს, როცა მას თქმა არ შეუძლია მას და იგი მიმართავს მოიარებით ხერხს...

შემდეგ გვადი ამ ურთიერთობის უფრო მაღალ საფეხურზე ადის — სოფელმა იგი კაცად ცნო, დაადასტა. ახლა გვადი როგორც კაცი არჩილს გაუტოლდა, ელაპარაკება როგორც თანატოლი თანატოლს, თითქოს მისი ძველი გულისმესაიდუმლეა, მასზე მზრუნველი. აქ იგი ბედავს შეეხუმრონს, იშუაკაცოს, იდუმლად ბაიხმის გვერდზე, ძმაბიჭურად გაუწოდოს ხელი. ბოლოს გვადი სულ სხვაა. მან ოჯოზა მოწინააღმდეგეს — ანუ დაძლია შემზარავი, ბნელი ძალა, დადგა არჩილზე მაღლა და როლები შეიცვალა: ახლა იგი არჩილს ბრძანების კილოთი ელაპარაკება, ვინაიდან გრძნობს თავის სიმართლეს და კაცობას.

ეროსი მანჯგალაძის მსახიობური ნიჭი, ფანტაზია, შეუკავებელი იუმორი სრულად მჟღავნდება მონოლოგში, რომელსაც პირობითად შეიძლება ვუწოდოთ ქებათა-ქება ფურ-კამჩის ცურისა. აქ გონებამახვილური დეტალების პირდაპირ ფეიერვერკია გამართული, ინტონაციური შეფერილობა განსაცვიფრებელია.

მაგრამ გვადი არა მარტო ფანტაზიის, არამედ რეალობის კაცია (გაიხსენეთ მისი ვითომ გულუბრყვილო დავა არჩილთან ფიცრების განაწილების გამო). გვადის მომხიბვლელობას მატებს მისი ფარული ტრფობა მარიამისადმი (მ. ჩახავა), რომელსაც მსახიობი დიდი ტაქტით ატარებს. მისი გაურყვნელი ბუნება, თანდაყოლილი გრძნობა დისკანციისა, სინაზე ქალის მიმართ მჟღავნდება არჩილის ნაქურდალი საქონლის გასინჯვისას, რასაც ანათებს მსახიობის იუმორი და რეჟისორის მიერ მშვენივრად მიგნებული ლირიკული ტონალობა გვადის და მარიამის წარმოსახული საუბრისა.

სპექტაკლის ფინალი მოულოდნელად დამძიმებულია. ზომაზე მეტი დრამატული სიმძაფრე და განცდაა გადმოცემული. თითქოს გვადის წარუხოცელი ლაჭა მოეცხო არჩილის მოკვლით და მის აჩრდილს ვეღარ მოიშორებს. ახალ შეგვლილ გვადის სულს ახალი სატანჯველი გაუჩნდა, მას არ უწერია ბედნიერი ცხოვრება. ჩვენ, ცხადია, არ გვგონია, რომ სპექტაკლი აუცილებლად, როგორც იტყვიან ხოლმე, ოპტიმისტურად უნდა ყოფილიყო, მაგრამ ამ სცენას აკლია თამაშეკავება და გრძნობა ზომიერებისა, რომელსაც მთელი სპექტაკლის მანძილზე მსახიობისათვის არ უღალატია. ისე გამოდის, თითქოს სისხლი აუცილებელია გვადის განწმენდისათვის მაშინ როცა ეს პროცესი დასრულებულია...

ასეთია ჩვენი გვადი, ეროსი მანჯგალაძის გვადი, რომელმაც მრავალი სასიამოვნო წუთი განგვაცდევინა რუსთაველის სახელობის თეატრში.

ნოდარ გურაბანიძე.

• • •

**სურათებზე: მარცხნივ — გვადი ბიგვა (ე.